№ 2898
კვირა,
28 აგვისტო

ცნობის ფურცელი

№ 2898
28 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატე-[illegible]—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობ. ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კ°-ის განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—[illegible] წერილები რედაქციის [illegible] უნდა გამოიგზავნოს.—პირადად მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღევის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო გრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მან., 8 თვით 4 მან. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მან. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ, ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.

კნ. ელისაბედ დადიშქელიანისა, კნ. ნინო წერეთლისა, კნ. მარიამ დადიანისა, კნ. მარიამ წულუკიძისა, და თავ. მიხეილ ნიჟარაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ქმრისა, მეორე და მესამე—ძმისა, მეოთხე და მეხუთე—ბიძაშვილის

თავ. კონსტანტინე კონსტანტინეს ძის დადიშქელიანისას

გვამის გამოსვენება სიაზორიდან სადგურზე 28 აგვისტოს, დილის 9 საათზე. დაკრძალვა ორშაბათს, სოფელ ოტობაიაში.

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული
დრამატიული კურსები
ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 123. ტელეფონი № 788.
კურსი 3 წლისაა. საგნები, რომლებსაც კურსებზე ასწავლიან: მკაფიო გამოთქმა და სასცენო ხელოვნება სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე; გრიმი, ხატვა, ცეკვა, პლასტიკა, მიმიკა, თეატრის ისტორია და ხმის დაწყება.
მიღება 20 ავგვისტოდან ყოველ დღე 12 დან 3-მდე და 5-დან 7 საათამდე, კურსების სადგომში.
პროგრამები იძლევა და იგზავნება უფასოდ. კურსებთან არსებობს სცენა.
(20—319—12)
კურსების დამაარსებელი ს. მ. დოლუხანოვისა

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"
ამხანაგობა
ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგება საჭიროა, ამა თვის 11-დან დაინიშნა
ვაჭრობა
მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.
100,000 მანეთისა.
მთელი საქონელი, მოწზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება იმისზე სხვები ფასები დაინიშნოს, რასაც იყო გაჭირვების დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ. საქონელი თავისი თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.
ფასები შეუვაჭრებლად.
ამხანაგობა [illegible] პატივცემულ საზოგადოებას კითხულ იხილოს და თვითონ მობრძანდეს. (0—92)

ქუთაისის მიხეილის თავად აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკი გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა წლის 1-ლ სექტემბერს ქ. ტფილისს, ოლგის ქუჩაზე, დიასამიძის სახლში № 4/a, ბანკის დირექტორის კანცელარიაში, მოხდება, ბანკის წესდების § 17 ძალით,
საჯარო ვაჭრობა
ამ ბანკში ტფილისის გუბერნიის სოფლის და ქალაქის დაგირავებულ მამულებზე სავალდებულო გადასახადების შემოუტანლობის გამო. მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა იქნება იქვე 16 სექტემბერს.
გასაყიდი მამულების სიები, მათი სივრცედა ვალების რაოდენობა შეიძლება ყოველ დღე ინახულონ ზემოხსენებულ დირექტორის კანცელარიაში".
(3—3)
ბანკის დირექტორი ვ. აბულაძე.

იმ ინსტრუქციის მე-2 და 5 მუხლების ძალით, რომელიც ეხება მცხოვრებთა წარმომადგენლების კრებებს და სათათბიროებს ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად და თანახმად ტფილისის გუბერნატორის მოწერილობისა, გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. ნ. ა. თუმანიშვილი იწვევს გორის მაზრის ყველა კერძო მემამულეს, რომელიც სოფლის საზოგადოებას არ ეკუთვნის, აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების პატრონთ და იმ მესაკუთრე გლეხებს, რომელთაც სანადელო მიწებს გარდა აქვთ ნაყიდი მიწები, მობრძანდნენ 3 სექტემბერს, დილის 10 საათზე, გორის მარშლის კანცელარიაში, სადაც მოხდება წინასწარი და საარჩევნო კრებები წარმომადგენელთა ასარჩევლად სამაზრო საბჭოში. ეს საბჭო განიხილავს საკითხს საერობო დაწესებულებათა შემოღებისას ამიერ-კავკასიაში. კერძო მოწვევის ბარათები არავის დაეგზავნება. (3—6.—1)

ტფილისის საგალობლო სკოლაში
მისაღები ეგზამენები
დანიშნულია პირველ სექტემბრისათვის.
(3—3)

სკოლა-პანსიონი და საბავშვო ბაღი
ბუგაევსკი-ერისთავისა.
გადავიდა ქსენიას ქუჩაზე, № 5, სახლი გოკიელოვისა, „ვეტცელის" სასტუმროს გვერდზე (კუთხე მიხეილის და ქსენიას ქუჩებისა) მიიღებს მოსწავლე-პანსიონერებს, ნახევარ პანსიონერებს და გარედან მოსიარულეებს. ამზადებს საშუალო სკოლების დაბალ კლასებში. ასწავლიან ახალ ენებს. ცეკვა და მუსიკა.
ბავშვების მიღება 24 აგვისტოდან.
(3—327—2)

ქუთაისში თ. გ. მაჭავარიანის კერძო
საქალებო პროგიმნაზიაში
მისაღები ეგზამენები დანიშნულია ენკენისთვის 5-ს. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 9. სწავლის ფული წლიურად ოცი მანეთი. მთხოვნელთ შეუძლიანთ მიმართონ სასწავლებლის გამგეს მის ბინაზე, ლევაშოვის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. (3—1)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა შაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სანიკიძისა № 15.

კბილის ექიმი
იოსებ პ. ახალშენიშვილი
ნიკოლაევსკისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ეგვიპტის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

ექიმი
ვ. ა. გედევანი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—28)

ექიმი
დ. გედევანიშვილი.
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.
ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. (თვ.—328—9).

კბილის ექიმი
ი. ზ. ქანდელაკი.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და სხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 30.
(30—19)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—9)

ერობის ახალი პროექტი

ჩვენს გაზეთში თავის დროზე გარჩეული და დახასიათებული [illegible] არსებული საერობო დებულება [illegible] გაუქმებული დებულება 1861 წ. შემდეგ ამასთან ზოგი ახალი პროექტი [illegible] ციმბირისა. ამ განხილვა-გარჩევის დროს ჩვენთვის გამოირკვა უმთავრესი საფუძველნი, რომლებზედაც, ჩვენის აზრით, უნდა აშენდეს მომავალი ერობა საქართველოში. ახლა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში სხვა და სხვა საზოგადოებრივ [illegible] ამავე აზრის ყოფილან ერობაზე, რომ საუკეთესო ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა მომხრეა რაც შეიძლება ფართო [illegible] დამოუკიდებელ და დემოკრატიულ [illegible]. მხოლოდ სუსტად გვესმის შოვინისტის, ზოგიერთ ფეოდალურ წრეებიდან [illegible] წუწუნი, უცენზოდ ერობა არ შეიძლება, წოდებრიობის პრინციპი უნდა იყოს დაცული და სხვა; მაგრამ ეს ხმა სუსტია, ისეთ განზრახვას გასავალი არ ექნება, რადგან, ვიმეორებთ, ჩვენი საზოგადოების დიდი უმეტესობა უფრო დემოკრატიულ თვითმმართველობას ემხრობა.

ასე ჰფიქრობს და ასე ჰმუშაობს ტფილისში ქართველი ინტელიგენცია, რომელიც ამზადებს საერობო დებულების პროექტს; ამ ხასიათისავე პროექტი შეუდგენიათ ქუთაისში, რომელიც გუშინ უკვე მოგვივიდა და რომელიც გვსურს ახლა გავაცნოთ მკითხველთ.

მთავარი საფუძველნი ერობისა, რომელნიც წინად აღვნიშნავს, შეეხებიან საარჩევნო უფლებას, საერობო ერთეულებს, საერობო კომპეტენციას, გადასახადთა სისტემას, მთავრობასთან ურთიერთობას. ყველა ეს მხარე ქუთაისის პროექტში ისეა შემუშავებული, როგორც რუსეთის დემოკრატიულ ელემენტებს ჰსურთ ადგილობრივ თვითმმართველობაში განსახორციელებლად და როგორც ჩვენის ქვეყნისათვის არის ხელსაყრელი.

საარჩევნო უფლება განსაზღვრულია პროექტის მე-10. მე-11, მე-12 და მე-13 მუხლებში. მიღებულია საერთო დემოკრატიული პრინციპი. არჩევნების უფლება აქვს ყველას, ვინც საერობო ტერიტორიაზე სცხოვრობს არა ნაკლებ ერთის წლისა, გაურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა, შეძლებისა, სქესისა; ამავე დროს ყველასი არჩევა შეიძლება ხმოსნებად, ვინც კი ამომრჩეველია; საარჩევნო უფლება არა აქვთ ადმინისტრაციის პირთ და ბრალმდებელთ, აგრეთვე გასამართლებულთ, გარდა იმათი, ვისაც პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდებათ, ესენი საარჩევნო უფლებას არ არიან, რასაკვირველია, მოკლებულნი. ეს უკანასკნელი გარემოება არ არის ციმბირის პროექტში, რომელიც, გარდა ამისა, საარჩევნო ნებას აძლევს იმათ, ვინც 2 წელიწადზე ნაკლები არ ცხოვრობს ამა თუ იმ ტერიტორიაზე. მაშასადამე, ქუთაისის პროექტი უფრო ფართო საარჩევნო უფლებას არგუნებს ხალხს.

საერობო ერთეულებად ქუთაისის პროექტი აღიარებს უბანს, მაზრასა და გუბერნიას. ამასთანავე საგუბერნიო ერობათ შეუძლიათ შეთანხმდნენ და შეადგინონ საოლქო ერობა; ხოლო რამდენიმე საოლქო ერობა შეადგენს უმთავრეს საერობო ერთეულს—ამიერ კავკასიის ერობას. ამ მხრით პროექტს, როგორც ჰხედავთ, დაცული აქვს დემოკრატიული მოთხოვნა მცირე საერობო ერთეულის დაწესების შესახებ; მაგრამ გადაჭრილ პასუხს არ გვაძლევს უფრო ფართო ერთეულებზე. მაგალითად საგუბერნიო ერობა სავალდებულოდაა მიჩნეული, საოლქო ერობის დაარსების საქმე-კი ნებაყოფლობაზეა მიგდებული, ისე როგორც ამიერ-კავკასიის ერობაც. ჩვენის აზრით, რომლის საბუთებიც არა ერთხელ მოგვიყვანია, ისეთ გუბერნიებს, როგორც ქუთაისის, ტფილისის და ბათუმისაა, რომელთაც საერთო კულტურული ცხოვრება და მისწრაფება აქვთ, არ ეჭირვებათ საგუბერნიო ერობა, მაგრამ უთუოდ უნდა მიენიჭოსთ ერთი საოლქო (საქართველოს) ერობა; ხოლო ნებაყოფლობაზე უნდა დარჩეს ამიერ-კავკასიის ერობის დაარსება, თუ სხვა საოლქო ერობებიც დაარსდა ამიერ-კავკასიაში (სომხების და თათრების პროვინციებში). ასეთი მოწყობა საერობო ერთეულებისა უფრო შეეფერება ჩვენის ქვეყნის ინტერესებს და ამასთან ისეთი უხარ-მაზარი და მოუხეშავიც არაა, როგორსაც ქუთაისის პროექტი გვაწვდის. მართლაც, ქუთაისის პროექტით უნდა დავაარსოთ ერობანი: 1) უბნისა, 2) მაზრისა, 3) გუბერნიისა, 4) ოლქისა და 5) ამიერ-კავკასიისა. ამდენს დაწესებულებას, სხვა რომ არაფერი ვსთქვათ, ვერც-კი გაუნაწილებ საქმეებს! მაშინ როდესაც 1) მცირე ერთეული, 2) თემი (მაზრა) და 3) ოლქი ნაკლებ სირთულეს წარმოგვიდგენენ და უკეთესადაც ემსახურებიან ადგილობრივ საქმეებს...

რაც შეეხება ერობის კომპეტენციას, მთავრობასთან ურთიერთობასა და გადასახადთა საქმეს, ამ მხრით ქუთაისის პროექტი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ციმბირელთა პროექტს, რომელიც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. ქუთაისის პროექტიც საკმაოდ აფართოვებს ერობის სამოღვაწეო ასპარეზს, დამოუკიდებლობას ანიჭებს თვითმმართველობას და უმთავრეს საბუჯეტო ძალად ხდის შემოსავალზე პროგრესიულს გადასახადს...

ამ მოკლე განხილვიდან დარწმუნდება მკითხველი, რომ ერობის ეს ახალი პროექტიც შეეფერება ჩვენი ხალხის ინტერესებს, ჩვენის დროის მოთხოვნათა და მისწრაფებათ. მაგრამ, აქაც წინანდელი ეჭვი გვებადება: მოისურვებს განა ბიუროკრატია ასეთ თვითმმართველობის დაარსებას? რა საკვირველია, არა: იგი ეცდება რაც შეიძლება შეაკვეცოს საარჩევნო უფლება, შეზღუდოს სამოქმედო ასპარეზი, გააძლიეროს მთავრობის კონტროლი, ერთის სიტყვით, ეცდება ახალს საერობო დებულებასაც იმ ხასიათის საფუძველი დაუდოს, როგორიც ჰქონდა, ვთქვათ, 1864 წლის დებულებას...

მიუხედავად ამისა, ჩვენ მოვალენი ვართ მონაწილეობა მივიღოთ მომავალ საერობო სათათბიროშიაც, მომავალ ბრძოლაშიაც. ჩვენმა ხალხმა და საზოგადოებამ აშკარად უნდა გამოსთქვან როგორი ადგილობრივი თვით-მმართველობა ეჭირვება და ესურვება ქვეყანას, ხოლო მომავალი გვიჩვენებს—ვინ გაიმარჯვებს: ბიუროკრატიის ფრთაშეკვეცილი და უძლურ-უფერული თვითმმართველობა თუ ნამდვილი დემოკრატიული ერობა.

ზავის შედეგი

პორტ-სმუტში მოლაპარაკება გათავდა. ზავის პირობებზე რწმუნებულთ ხელი მოაწერეს. მოეღო ბოლო მეოცე საუკუნის სამარცხვინო საქმეს, რომელიც მწარე ირონია იყო რუსეთის ხალხზე.

გვხსომებათ, რომ რუსეთის ხელმწიფემ პირველმა ამოიღო ხმა და მოიწოდა ევროპის მფლობელნი, რათა მოესპოთ კულტურულ ქვეყნებში ბარბაროსული ჩვეულება ადამიანთა გვამებით ანგარიშის გასწორებისა. ამის და მიუხედავად მოხდა საშინელი სისხლის ღვრა, რომლის მაგალითიც ისტორიამ არ იცის. დიდი ოკეანეს წყლებმა შთანთქეს აუარებელი სიმდიდრე, მანჯურიის ველები უხვად მოირწყო წითელის სისხლით; მანჯურიის ჰაერი გაივსო დაჭრილ ხალხის გმინვა-ოხვრით; ოქრო-ვერცხლით გაივსო უძირო ჯიბეები ათას ავანტიურისტისა და გამყიდველ მოხელეებისა. ვინ მოსთვლის ზარალს, ვინ დააფასებს მსხვერპლს, რომელიც შესწირა რუსეთმა, საბრალო, გაღატაკებულმა რუსეთმა ცრუ-პატრიოტების გაუმაძღარ მადას.

ეხლაც, როცა საშინელებას მოეღო ბოლო, ეხლაც ვერ დამცხრალან სისხლის მოყვარულ გაზეთის გმირები; ცხარე ცრემლებსა ჰღვრიან და დაფარულის სიბრაზით იხსენიებენ რუსეთის რწმუნებულს, რომელსაც „სამშობლოს სახელი ვერ დაიცვა და გააქცევინა იაპონიას". უძლურნი სცდილობენ ჩაშუშონ უკვე ჩამოგდებული ზავი, ისინი ფარისევლურად ღაღადებენ და იწვევენ რუსებს, თუ მამულიშვილები ხართ და სამშობლო გიყვართ, ძეგლები აუგეთ საუკუნოდ განსვენებულთ მანჯურიის ველზეო. ქვითინებენ და ას მანეთს სწირავენ სამასი ათას მკვდარ გმირისთვის ძეგლის ასაგებად. „მოსკოვის ვედ."-ს რედაქციამ გადასდო ასი მანეთი მანჯურიაში სასაფლაოების, ძმურ-სასაფლაოების და ძეგლების ასაგებად, „სახსოვრად რუსის მხედართა, რომელნიც ბრძოლის ველზე დაეცნენ"-ო, აცხადებს რედაქტორი ამ გაზეთისა ბ-ნი გრინგმუტი ცხარე ცრემლების დაფრქვევის შემდეგ. სწუხს ბ-ნი გრინგმუტი და იმის დამქაშები, რომ ზავი ჩამოვარდა, მაგრამ იმათ არავინ უგდებს ყურს: მილიონი ხალხი ღმერთს მადლობას სწირავს, რომ გათავდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა, გათავდა გაუთავებელი სირცხვილი სამშობლოსი...

მაგრამ დაუკვირდით ამ სიხარულს. მცინარია იგი თუ მწუხარე? დიდი სიხარული მწუხარებით თავდება ხოლმე. სასიხარულოა, რომ ომი გათავდა, მაგრამ სამწუხარო იქმნება შედეგი.

ყველასათვის ცხადია ეხლა, რომ ძლიერი განმანთავისუფლებელი მოძრაობა შექმნილია, სხვათა შორის, ომის მეოხებით. რუსეთი ვერ გაიღვიძებდა ისე, როგორც ეხლა ღვიძავს, რომ იაპონიას არ დაესროლა ზარბაზანი პორტ-არტურთან 1904 წ. 26 იანვარს. იაპონიის ზარბაზანმა სასწაულებრივი მოქმედება იქონია. იმისი ხმისაგან ელდა ეცა რუსეთის მკვიდრებს და წამოხტნენ. თავზარდაცემულთ ნათლად დაინახეს ის გაუთავებელი მდგომარეობა, რომელიც შექმნა ძალამ და მონურმა მორჩილებამ ბიუროკრატიისადმი. ერთი მეორეზედ მოყოლებული დამარცხება იძლეოდა ახალ-ახალ საბუთს თანამედროვე რუსეთის სახელმწიფო მექანიზმის უვარგისობისას.

გაახილა რუსეთმა თვალები და ერთხმად შესძახა: „სიკვდილი ძველს წეს-წყობილებას!" ძახილი მძლავრია, მაგრამ სუსტი მტრის ძალებთან შედარებით. მომენტმა უდრო-უდროოდ მოუსწრო და განმათავისუფლებელ მოძრაობას აკლდა სიღრმე და ერთიანობა. აი რითი უნდა აიხსნას ძალთა მყოფობა, ბიუროკრატიის ჯიუტობა! ისინი კიდევ ჰგრძნობენ თავის ძალას და ხედავენ მოძრაობის დაქსაქსულობას და წარბს არ იხრიან. ომი იყო მათთვის ერთად-ერთი საშიში მტერი, მძლავრი და შეუპოვარი. მისი გაგრძელება მოასწავებდა მათ მეფობის მოსპობას. აი რისთვის მორბიოდნენ და მოლაპარაკებაზედ დაავიწყდათ წინანდელი ამაყი სიტყვები: „არც ერთი ნაბიჯი მიწა, არც ერთი გროში იაპონიას".

დიახ, ზავი შეკრულია, მაგრამ სასიხარულო არა არის-რა. მოისპო რუსეთის ბიუროკრატიის საშიში მტერი, გარეშე მტერი. ეხლა ის თავისუფლად ამოისუნთქავს, ძალას მოიკრებს და იერიშს მიიტანს სხვა მტერზედ, რომელიც დიდი ხნია აწუხებს და ეხლა ძალიან გათამამდა, შინაურ მტერზედ. ვინ არის ეს შინაური მტერი? ყველამ იცის იმისი სახელი. ზოგიერთი მოყვარეს ეძახის ამ მტერს და სწორედ იმიტომ [illegible]

სა-ა

შავი დღეები შუშაში

ოც ამ თვეს, 12 საათზე, გათავდა უგვანდ შემზარავი სურათი, რომელიც კი შესაძლებელია დედა მიწაზე. ვინც თვითონ არა ყოფილა ამ შავ დღეებში შუშაში, იმან შეუძლებელია წარმოიდგინოს, თუ რა სისაძაგლე შესძლებია მხეც ადამიანს. ძველის მწერლების და ხალხის ფანტაზიის ჯოჯოხეთი ვერ შეედრება თავის შემზარავ სურათებით შუშის ოთხ დღეს.

16 ამ თვეს, ნაშუადღევს ოთხი საათი იყო, რომ უცებ ქალაქში თოფის სროლა ასტყდა. ხალხი დარბოდა თოფის სროლით და გამოშიშვლებულ ყმა ხანჯლებით. პირველ თოფის გასროლისთანავე, უცებ მიხვდა, რომ დაიწყო შეტაკება ორ ერს შორის, მიხვდა იმასაც, რომ მათი შეტაკება სისხლის დაუნთხევლად არ იქნებოდა, არ იქნებოდა იმიტომ, რომ ბაქოს შემდეგ ორივე ერი შეიარაღებას შეუდგა, რათა დამარცხებული არ დარჩენილიყო. 16 აგვისტოს გათავდა მით, რომ სომხებმა და ყარაბაღელმა მაჰმადიანებმა ამოისწყვიტეს ერთმანერთი და დაატყვევეს ხალხი თავ-თავიანთ ნაწილში.

შეტაკება სულ უბრალო მიზეზმა გამოიწვია: ქალაქს გარეთ თათარი და სომეხი წაჩხუბებულან და პირველს უკანასკნელი თავში დაუჭრია. გასისხლიანებული სომეხი ქალაქში შემოვიდა და ბრბომ გაატარა იგი ქუჩებში. ამათ ადვილად ახალგაზრდობა და დაუწყო სროლა იმ თათრებს, რომელნიც სომხის ნაწილში იყვნენ. ამ დროს ქალაქში იყო სამასი ქვეითა სალდათი და ორი სოტნია ყაზახი, მაგრამ ვინც შუშას იცნობს, დარწმუნდება, ეს მცირე ჯარი კი არა, ერთი დივიზიაც მეტი არ იქნებოდა.

შეტაკებისთანავე ყაზახებმა სომხებსა და ყარაბაღელებს შუა საზღვარი დაიჭირა. აქვე უნდა ვთქვა, რომ ორივე ერი ცალ ცალკე სცხოვრობს და თუ ერთმანეთში ყოფილიყვნენ არეულნი, დღეს შუშაში არ დარჩებოდა ერთი მცხოვრებიც. რამდენისამე წუთის შემდეგ ქუჩებში საფარები გამართა და გახდა ნამდვილი ტაქტიკური ომი. ტყვია ზუზუნებდა ყველა ქუჩასა და სახლის თავებზე. აივნებზე გამოსვლა უგვანდ შეუძლებელი იყო. შერიგებას არც ერთი მხარე არა თხოულობდა, იმდენად იყვნენ დაიმედებულნი გამარჯვებაში. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ორივე მხრის ინტელიგენტები, რომელნიც ხალხთან ერთად გამოჩენილნი იყვნენ, რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი შეწირულიყო და ერთი ერი მეორის განადგურებისათ. ამას გამბობ მე თამამად

და ამასვე იტყვის ყველა არა დაინტერესებული კაცი, ვინც-კი ამ შავ დღეებში შუშაში, ესე იგი 17 აგვისტოს, დილით, ორისავე ერის წარმომადგენელნი იმდენ უპატიოსნებამდე მივიდნენ ურთით თავმოყვარეობით, რომ ოცდა ათი ნაბიჯიდან დაბრუნდნენ ერთიერთმანეთისაგან რადგან სომხის წარმომადგენლებმა არ ინებეს ყარაბაღელების საზღვართან მისვლა, ხოლო ყარაბაღელებისამ—სომხების საზღვართან. ამ ოცდა ათმა ნაბიჯმა დააქცია ზღვა სისხლი და გადაბუგა სომხების ქალაქის საუკეთესო ნაწილი.

პირველი საათი იყო, რომ მესწრლა შერიგება და ისტუდა ბარიკადებიდან თოფების საზარელი გრიალი. ბევრმა ახალგაზრდობამ შეალია თავისი სისხლი ამ ბარიკადებზე. არ გასულა დიდი ხანი, რომ შუშელებს ახალი თავზარი დაეცათ: ერევნის კარებთან ცეცხლის ალი [illegible] ჭვარში. სომხობამ ცეცხლი მისცა ხუთმოსახლე მაჰმადიანს, რომელნიც ყაზარ[illegible] სცხოვრობენ და სრულებით მოწყვეტილნი არიან მაჰმადიანის ნაწილს. ყარაბაღელებმა ცეცხლითვე უპასუხეს სომხებს და მედგრის იერიშით წამოვიდნენ ზევით. ჯარმა ვერ შესძლო მათი შეჩერება, თუმცა კი ერთობრივი სროლა (ЗАЛПОВЫЙ ОГОНЬ) დაუშინა. აქ ამოწყდა მრავალი ხალხი, დაიქცა ზღვა სისხლი; ცეცხლი თანდათან ერეკებოდა ჯარს ზევით და თათრებიც მოიწევდნენ ზევით. ამ ცეცხლმა შეაშინა მეომარი სომხობა და უმეტესმა თავი მიანება ბარიკადებს. განურჩევლად სქესისა ყაზარმებს მიაწყდა.

ამ სურათის აწერა არ შეიძლება, მკითხველო. თვითონ უნდა გენახა, რა საზარლობა, უბედურობა და ტანჯვა წვალება იყო. ასე გამუდმებული ბრძოლა გაგრძელდა 19 საღამომდის, როდესაც დაიწვა საუკეთესო ნაწილი სომხებისა. 19 საღამოს თათრებმა შემოუთვალეს სომხობას, ბრძოლას შევწყვეტო, თუ ზევიდან თოფის სროლას არ გაიგონებთო, რაც სიხარულით იქნა მიღებული სომხების მიერ. მაგრამ კანტი-კუნტათ სროლა მაინც ისმოდა ორივე მხრიდან. ეს ღამე ნამდვილ ჯოჯოხეთში გავატარეთ, რადგან ყველგან ყარაბაღელების ამოვარდნას ველოდით სომხების ნაწილში და მაშინ ცოცხალი არავინ გადარჩებოდა. ჯარი ვერაფერს უშველიდა, თუმცა 18 აგვისტოს სამი სოტნა ყაზახი მოუვიდა. 19 საღამოს ყარაბაღელებს 400 შეიარაღებული მეომარი მოუმატა. რამდენი მეცადინეობა და მუხლის მოდრეკა დასჭირდა ყველად პატიოსან კაცს, ჯავათ-ადა ჯევანშირს, რომ ამ ღამეს შეეკავებინა თათრების მეომარნი და არ გაეწყვიტათ სომხობა! მთელი შუშა მოწიწებით და მადლობით იხსენიებს ამ კეთილ შობილ ადამიანს.

[illegible] მაგრამ, 12 საათზე მშვიდობა ჩამოვარდა. სომხების სამღვდელოება გამართა მეჩეთში. იქ დახვდა კაზი თავის ამალით. ორისავე ერის წარმომადგენლებმა სიტყვები სთქვეს და ერთიერთმანეთს ჰკოცნიდნენ. რამდენი ცრემლი დაიქცა როდესაც თათრებმა დატყვევებული სომხები გამოიყვანეს და ჩაბარეს სომხებს.

მე ამისთანა სურათს ვერ წარმოვიდგენდი.

დიდის მადლობის ღირსია სომხების მხრით ბატონი ხატისიანცი. ეს ერთად-ერთი პირია, რომელიც სულით და გულით მოქმედებდა, მაგრამ დროზე ვერაფერი გააკეთა, რადგან სხვები უშლიდნენ,

დახოცილი და დაჭრილი ორსავე მხრით 800-მდე აღის. ცეცხლისაგან ზარალი 6 მილიონი იქნება.

დამსწრე.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
26 აგვისტო

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. კომურამ სთქვა იმის შესახებ, რომ ვითომც ზავს საფრთხე მოელოდეს, ვერაფერი ვერ დაუშლის მიკადოს ხელი მოაწეროს ხელშეკრულობასო.

გუნჯულინი. 23 აგვისტოს ფრონტზე კიდევ იყო სროლა. დაზვერის დროს გაიკვრა ერთი ოფიცერი და დაიჭრა ორი სალდათი.

ჰამბურგი. გემ „მარია რიკმერს“-ის კაპიტანი, რომელიც ბანკოკიდან ბრემენს მიდის, დეპეშით იუწყება კოლომბოდან, ხოლერამ სამი კაცი მოჰკლა და ორი ავად არისო. გემზე დეზინფექცია მოახდინეს.

ლონდონი. ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობის ტექსტს გამოაქვეყნებენ რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულობის რატიფიკაციასთან ერთად, რომელიც, ალბად, სექტემბრის გასულს მოხდება, კომურას იაპონიაში დაბრუნების შემდეგ.

ლიბავა. შეწყნარებულ იქნა სამხედრო-საზღვაო სასამართლოს შუამდგომლობა მატროსებისთვის ჩამოხრჩობის 15 წლით კატორღაში გაგზავნით შეცვლაზე. საზღვაო მინისტრმა ყველას შეუცვალა სიკვდილით დასჯა. ორი მატროსი უვადოდ იქნება გაგზავნილი კატორღაში, ერთი 20 წლით, ერთი—18-ით, 3—15-ით და ერთიც ათის წლით.

ტოკიო. „ჟიჟაკო“ და დანარჩენი გაზეთები თხოულობენ კაბინეტის წევრებმა თავი გაანებონ სამსახურს, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არეულობა უფრო გაძლიერდებაო, დიდ ბრიტანეთის საელჩომ უარი სთქვა დამცველებზე, რადგანაც მოძრაობა მხოლოდ მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართულიო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
26 აგვისტო.

შანხაი. გონკონგიდან იუწყებიან, რომ ჩინეთი ჩქარა დაუთმობს იაპონიას კანტონ-ხანკოუს რკინის გზის კონცესიას და აგრეთვე სხვა კონცესიებსაცო.

ბერლინი, 25 აგვისტო. უკანასკნელის ბიულეტენით აღმოსავლეთ პრუსიაში ექვსი ახალი შემთხვევა იყო ხოლერისა, სულ ხოლერით ავად გახდა 90 კაცი, ამათში 30 მოკვდა.

რომი. სამხრეთ იტალიიდან იუწყებიან საშინელ მიწის ძვრაზე, რასაც აუარებელი ზარალი მოუტანია. ქალაქი პიცცო თითქმის დაცარიელდა მესინაში მცხოვრებლებმა მიატოვეს სახლები. არ იციან, რამდენია ზარალი. არც ის იციან, დაიღუპა თუ არა ვინმე. კონფონცაროში დაინგრა ბევრი შენობა.

ბაქო, 26 აგვისტო. ბალახანაში ყველაფერი გადაბუგეს. თათრები ძარცვავენ. ქალაქში ცხოვ[illegible] იწვება მთლად, ღამ-ღამე სროლა მოისმის. შერიგებას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ. ბანკები დაიხურა. ქუჩები ცარია სჩანს.

ჰელსინგფორსი. უცაბედათ გარდაიცვალა სამხედრო გამომძიებელი ფინლიანდიის ნაწილისა პოლკოვნიკი რისტისლავლევი.

ტოკიო, 26 აგვისტო. დღეს სიმშვიდეა. არავითარი არეულობა არ მომხდარა.

პარიჟი. იაპონიის დესპანმა უთხრა „ტანი“-ს თანამშრომელს, იაპონიის ამბებს ძლიერ აზვიადებენო. დესპანი სრულიად დარწმუნებულია, რომ ზავის ცუდათ დაბოლოვებით გამოწვეული მოძრაობა ჩქარა ჩაქრება.

პეტერბურგი. გრაფ სოლსკის კომისიამ გადასწყვიტა, რომ საარჩევნო კრებების წინა კრებები მოხდება მხოლოდ ქალაქებში და ამასთან მაზრის მიწის მფლობელთ შეუძლიათ დაესწრან კრებებსო.

კოპენჰაგენი, 26 აგვისტო. ლამანშის ესკადრა მოვიდა აქ დილის 10 საათ. და დგას გადასკდი გარეშე რეიდზე.

ტოკიო. საღამოს ათის ნახევარ საათზე არეულობა დაიწყო შუაგულ ქალაქში. ქუჩები ხალხით გაიჭედა. არეულობა დაიწყო შინაგან საქმეთა მინისტრის ბინასთან, ხალხი შეეცადა ცეცხლისთვის მიეცა ეს შენობა. ხელ ჩართული შეტაკება მოხდა. ტრამვაის მოძრაობა აღელვებდა ხალხს და ამიტომ დაუყოვნებლივ შეწყვეტილ იქნა მიმოსვლა. ცეცხლს მისცეს ათი ვაგონი. შეიპყრეს 800 კაცი, არეულობაში მონაწილეობისთვის ბრალდებულნი.

ჟურნ. წინად[illegible]ებიდან

გამოჩენილ დენს ირომაუის აზრი ზავზე. ერთს გამოჩენილ ფრანგ დიპლომატს უთქვამს „ნ. ფრ. პრესსე“-ს თანამშრომლისათვის: იაპონიის იმპერატორისა და მთავრობის ზომიერება ზოგმა რუსეთის დიპლომატიურ გამარჯვებად ჩასთვალა. ეს გარემოება მეტად მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენს იაპონიის ხალხზე. გაზეთებს რომ დავუჯეროთ, იაპონიამ იმიტომ აიღო ხელი კონტრიბუციაზე, რომ ომის გასაგრძელებლად ფული არ ჰქონდაო. ეს ტყუილია, იაპონიას ჰქონდა ფულები, თუ არ ეყოფოდა, ყოველთვის [illegible] იმპერატორს სისხლის ღვრის მოსპობა ასურდა და მხოლოდ ამ აზრით აიღო ხელი კონტრიბუციაზე. მიკადომ დაანახვა მთელ ქვეყნიერობას, რომ იაპონიისათვის ადამიანის სიცოცხლე ძვირფასია ფულზე.

იაპონიამ თავისი უმთავრესი სურვილი მაინც შეისრულა: მანჯურიიდან რუსეთის ჯარი უნდა გაიყვანოს და კორეაზე იაპონიის პროტექტორატი იცნოს. ამას გარდა, იაპონიამ ლიაოდუნის ნახევარ-კუნძული პორტ-არტურითა და დალნით, სახალინის საუკეთესო სამხრეთი ნაწილი და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა მიიღო. ამაზე უმთავრესი კიდევ ისაა, რომ შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ბატონობა მოისპო და პირველობა იაპონიის ხელში გადავიდა. კუნძულების იმპერია მაგრად მოეკიდა ფეხი ხმელეთზე და ევროპის დიდ სახელმწიფოებს გაუთანასწორდა. („რ.“).

უცხოეთის პრესის აზრი ზავზე. უცხოეთის პრესსა აქებს იაპონიის ბრძნულ ზომიერებას და ამტკიცებს, რომ თუმცა საზავო პირობა პირველ შეხედვით უსარგებლოდ გეჩვენებათ იაპონიისათვის, მაგრამ იაპონიამ მაინც კარგად წაიყვანა თავისი საქმეო. „ამომავალ მზის ქვეყანამ“ ამ ომის დროს დაამტკიცა, [illegible] მოსამართლე ყოფილაო.

ინგლისური გაზ. „ტაიმსი“ ამბობს: ზავი შეიკრა იაპონიის ზომიერებისა და სულგრძელობის წყალობით. ევროპის სახელმწიფოებში ვერც ერთი ვერ მოიქცეოდა ისე, როგორც იაპონია მოიქცაო.

„დეილი ტელეგრაფ“-ი სწერს: „როცა ხელ-შეკრულობას ხელს მოაწერენ, გამოჩნდება, რომ იაპონიამ ბევრი შეიძინა, რუსეთმა-კი ბევრი დაკარგაო.

„დეილი ნიუს“-ი: იაპონიამ ქედი მოიხარა მთელ განათლებულ ქვეყნიერობის აზრის წინაშე, კონტრიბუცია აღარ მოითხოვა და ამით მთელის ქვეყნიერობის პატივისცემა დაიმსახურა, რაც გაცილებით ძვირად ღირს, ვიდრე კონტრიბუცია. ეხლა როცა ეს საშინელი ომი გათავდა, კაცობრიობამ ლონისძიება უნდა მიიღოს რომ ამას იქით ომი აღარ მოხდეს. ამ დიდებულ საქმის მეთაურად სახელოვანი მშვიდობის მყოფელი პრეზიდენტი რუზველტი უნდა გამოვიდესო.

„სტანდარდ“-ი დარწმუნებულია, როცა მოლაპარაკების საიდუმლოებას გამოაცხადებენ, გამოჩნდება, რომ იაპონიას სულაც არ დაუთმია ბევრი. ხელ-შეკრულობაში საიდუმლო მუხლი არსებობს და სწორედ ამ მუხლმა შეასრულა უმთავრესი როლი, როგორც მუდამ მოხდება ხოლმე დიპლომატიურ მოლაპარაკების დროსაო.

ფრანგული გაზ. „ორორ“-ი (კლემანოს გაზეთია) სწერს: იაპონიის სულგრძელობა კეთილ მაგალითს აძლევს სხვა სახელმწიფოებს და უფრო კარგს სამსახურს გაუწევს მთელის ქვეყნიერობის ზავს, ვიდრე ყველა სიტყვა და კრება საერთოდაო. („რ.“).

ბელგიური გაზ. „პეპლ“-ი სწერს: „რუსეთის ბიუროკრატია დამარცხებული გამოვიდა ამ ომში. ბიუროკრატიამ ქვეყნიერობას დაანახვა თავისი უძლურება, უნიჭობა, უვიცობა და სიმარცხვინო ანგარება. ეს სასარგებლო გაკვეთილი იქნება სხვა ერებისათვის ვუსურვებთ რუსის ხალხს, რომ საკმაო მხნეობა გამოიჩინოს და მალე საბოლოოდ განთავისუფლდეს ბიუროკრატიულ რეჟიმისაგანო.

ბელგიურ გაზ. „პრეს“-ის აზრით, ზავის შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი ხანა დადგაო. („ს. ო.“).

იაპონია ომის შემდეგ. ავსტრიელი მეცნიერი დოქტორ ფონ პეცი ცალკე გამოცემულ წიგნში ასე ასურათებს იაპონიას: იაპონია ბრწყინვალედ გამოვიდა მსოფლიო სცენაზე და საპატიო ადგილი დაიჭირა დიდ სახელმწიფოებში. უწინაც ბევრ ერს გაუმარჯვნია, მაგრამ ჯერ არც ერთ ერს არ გამოუჩენია ასეთი ბრწყინვალე ნიჭი როგორც საზღვაო და ხმელეთის ომში, ისე ყველა სამხედრო საქმეში: ჯარის შეიარაღება, კვება, სამხედრო ბანაკები, სანიტარო საქმე, რკინის გზები და უმავთულო ტელეგრაფი შესანიშნავად აქვთ მოწყობილი იაპონელებს. ამავე დროს. იაპონელ სარდლებში ერთმანეთის შურისა და ჯიბრის ნასახიც არ არსებობს, პირიქით ყველანი სოლიდარობის ერთგულობით და თანხმობით ემსახურებიან თავიანთ საქმეს, ყველაფერში დიდ რაინდობას იჩენენ და საერთაშორისო უფლებას სასტიკად ასრულებდნენ. იაპონიის ერმა საოცარი ძლიერი ხასიათი, სახელის მოყვარეობა და დიდი გონებრივი და ზნეობრივი განვითარება გამოიჩინა. თუმცა ამ ჟამად ევროპაში ყველა მაღლა აყენებს იაპონელებს. მაგრამ მაინც კიდევ მედიდურად უყურებენ და იაპონიის ერს ევროპის ერებთან თანასწორად არა სთვლიან. იაპონელები უფრო მამაცები არიანო, მართალია მიხვრილებული, შნოიანი და ნიჭიერი ხალხია, მაგრამ შემოქმედებითი ნიჭი არა აქვთო,—ამბობენ ევროპიელები. მაგრამ იაპონელებმა ისეთი დიდი სამხედრო ნიჭი გამოიჩინეს, რომ ზავის შემდეგ, უეჭველია, სხვა ასპარეზზეც არა ნაკლებ ნიჭს გამოიჩენენ. განა იაპონიის ასეთი სწრაფი პროგრესი საოცარი, უმაგალითო საქმე არაა: ამ ერმა ნახევარ საუკუნეზე ნაკლებ ხანში ევროპის კულტურა შეითვისა და ევროპის ერებს მოეწია.

იაპონიის ბრწყინვალე გამარჯვებამ ქვეყნიერობა შესძრა და რუსეთის და ჩინეთის იმპერია ორივე კიდით-კიდემდე შეარყია. იაპონიის ძლევა მოსილ ფლოტს [illegible] მოპირდაპირე აღარა ჰყავს ვლადივოსტოკიდან ავსტრალიამდე, იმის ჯარს ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაუმკლავდება აღმოსავლეთ აზიაში იაპონია პირველი სახელმწიფო გახდა აღმოსავლეთ აზიაში და ამას იქით დიდ როლს ითამაშებს საერთაშორისო პოლიტიკაში. („ო. ნ.“).

რუსეთი და ჩინეთი ომის შემდეგ. რენე პიშონი სწერს „რევიუ დე დე მონდ“-ში: რუსეთ-იაპონიის ომს მეტად დიდი შედეგი მოჰყვება. რუსეთისა და ჩინეთის სოციალური და ეროვნული ცხოვრება მთლად შეარყია ამ ომმა. როგორც რუსეთისა, ისე ჩინეთის შინაგანი წყობილება ძირეულად შეიცვლება. ომი თუ მიზანი არა, სიგნალი მაინც იყო ამ დიდის ცვლილებისათვის. წინადვე შეგვიძლიან გამოვცნობ, რომ ეხლანდელ ომის სისხლი და საშინლება რუსეთის სახელმწიფო წყობილებას ჩამოჰრეცხს იმ ძველებურ, დახავსებულ მტვერს, რომელიც თავისუფლად სუნთქვას უშლიდა ყველას.

ეხლანდელმა ომმა მეორე დიდი იმპერია-ჩინეთიც საბოლოოდ გამოაღვიძა და იმისი 400 მილიონი მცხოვრებელი თანამედროვე ცხოვრების გზაზე გამოიყვანა იაპონიის გამარჯვებამ მკვიდრ ნიადაგზე დააყენა ჩინეთის განახლების საქმე. „ცისქვეშეთის იმპერია“ ევროპიულ ტეხნიკასა და მეცნიერებას იაპონელებისაგან შეისწავლის და არა პირდაპირ ევროპიელებისაგან. იაპონიის სკოლებში ჩინელები შეისწავლიან აგრეთვე იმ ხერხსაც, თუ როგორ განდევნონ შორეულ აღმოსავლეთიდან ევროპიელები. („ს.“).

რუსის ჯარს შინ არ დააბრუნებენ მანჯურიიდან. პეტერბურგში ხმა გავრცელდა, რომ შორეულ აღმოსავლეთში მომქმედი არმია ზავის შემდეგ მაშინვე არ დაბრუნდება სამშობლოში. ამბობენ, ვითომ მრავალმა მიზეზმა გამოიწვია ასეთი გადაწყვეტილებაო; ვითომ უნდათ არმიაში ყოველ მხრივი ძირეული ცვლილება მოახდინონ და შორეულ აღმოსავლეთის საზღვარზე იმდენი ჯარი იყოლიონ, რომ შემდეგში რუსეთის მოუმზადებლობაზე ლაპარაკი აღარ შეიძლებოდესო. („ნ. დ.“).

ამ ცნობის თაობაზე „სინ ოტეჩესტვა“ სწერს: გაზეთებში ცნობა დაიბეჭდა, ვითომ რუსის არმიას მანჯურიიდან შინ დაბრუნება აღარ ეღირსებაო, ვითომ რაღაცა სამხედრო სოფლების დაარსებას აპირობენ რუსეთის შორეულ განაპირა პროვინციაშიო. იქნება იაპონიიდან ტყვე სალდათებიც გემებით მოიყვანონ და თავიანთ ამხანაგებს მოუმატონო. სამწუხაროდ არ ვიცით, საიდან გავრცელდა ეს, ჩვენის აზრით, დაუჯერებელი ხმა. ეს ხმა იმიტომ არაა დასაჯერებელი, რომ ციმბირში გაძნელდება ნახევარ მილიონ კაცისათვის ადგილის შოვნა, მით უმეტეს, რომ იქვე უნდა გადმოსახლონ რამდენიმე მილიონი იმათი ცოლი და შვილიც. შეუძლებელია, რომ ნახევარ მილიონი სული კიდევ ერთხელ მოსწყვიტონ ყველაფერს, რაც იმათთვის ძვირფასია, რაც უფლების ძალით ეკუთვნით და იმათ ნებისა და სურვილის წინააღმდეგ სადღაც შორს გადაკარგონ. რუსის სალდათები ომში რომ მიდიოდნენ, მტკიცე იმედი ჰქონდათ შინ დაბრუნებისა; იმათ ნათესავსა და ცოლშვილსაც ეს იმედი ასულდგმულებდა და ან უცებ რაღაცა სამხედრო სოფლები მოიგონეს. ეს შეუძლებელია

ფელეტონი

პატარა ამბები

რას გვეუბნებიან ბოროტი ძალები?—ბიუროკრატია და ქაღალდი.—ერობა ჩვენში.—ქართული ენის და სკოლის ბედი.

ბოროტი ძალები გულს არ იტეხენ და ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ ძველს დროს ისევ დაიბრუნებენ და ხელმეორედ შებორკილს მიგვიყვანენ ძველ კერპებთან.

ამდენ ხანს „ველური და გაუნათლებელი“ იაპონელები გვადგენდნენ, დრო არ გვქონდა თქვენთვის, მაგრამ ახლა-კი მოვიცლით, ტყავს აგაძრობთ, გაწამებთ და ძველს დროს მოგანატრებთო,—გვემუქრებიან რეაქციონერები.

„თავისუფლება!“ რაო? გაიგონეთ სიტყვა და თუთიყუშივით იმეორებთ? როგორ თავისუფლება მოგენატრათ? მოგეწყინათ უთავისუფლებოდ? მადა აღარა გაქვთ? თარეშობა გინდათ?.. მაშ, მაშ! როგორ გეკადრებათ უთავისუფლებოდ ყოფნა! მობრძანდით, ინებეთ, შებრძანდით „ციხის აბანოში“ და აი იქ გაგემებთ ისეთ ფერით თავისუფლებას, რომლის მსგავსი სიზმარშიაც არ მოგელანდებათ!—დაგვცინის ბიუროკრატია.

პოლიციელი არ გარგა, მეეზოვე მოისპოსო? პოლიციელები ყველთვის და ყოველგან უსამართლობას და ძალმომრეობას ემსახურებიანო? პოლიციაა სულთამხუთავია, პიროვნების დამამცირებელი, ცილის მწამებელი, მერე რა! მაშ როგორი უნდა იყოს!—გვისაყვედურებენ პოლიციელები.

კანონმდებლობა და თვითმმართველობაო?.. ხე, ხე, ხე!—კანონმდებლობა და თვითმმართველობაო?.. ჰმ!—კანონმდებლობა და თვითმმართველობაო?.. კიდევ!—გვეუბნებიან მაღლიდან და გვითითებენ შეიარაღებულ დარაჯებისაკენ.

სამოთხე გინდათ? გინდათ ძმობა, ერთობა და სიყვარული? გინდათ, რომ ყველანი კმაყოფილნი იყვნენ, ცხვარი მგელს დაუმეგობრდეს და ყველგან ჩამოვარდეს თანხმობა?—გვეკითხებიან ქურუმნი და სანამ პასუხს გაგცემდეთ, იწყებენ ძალათ ჩვენს ცხონებას: „სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისათა წმინდისათა, აწ და მარადის“... და სხვა და სხვა.

გშიათ, საჭმელი არა გაქვთ? გცივათ, შიშველნი ხართ? ექიმი და წამალი გინდათ, ავადა ხართ? მართლა?.. მართლა?.. ჰმ!.. ნუ თუ?.. დაუჯერებელია... სამწუხაროა, ე. ი... დიაღ, დიაღ... სამწუხარო უნდა იყოს... გშიათ, ჰა?.. მერე როგორ, როგორ გშიათ? ე. ი. გშიათ, არა?.. ზამთარში მეც მინახავს სიცივე, ე. ი. ცხვირის წვერზე შემცივებია ხოლმე... სიშიშვლე ცუდი რამ უნდა იყოს, გამომიცდია.. მაშ! დღეში ექვსჯერ ვარ დაჩვეული ჭამას. ახლა ერთხელაც რომ არ გივახშმო დაზათაინად, მგონია, იმ ღამეს სული ამომხდეს... ჰოო!.. მაშ გშიათ?.. მაგრამ იცით, რას გირჩევთ: ცოტ-ცოტა ჭამეთ, ბევრის ჭამა გაწყენთ; დღეში ერთხელაც რომ სჭამოთ, არა უშავს. უკეთესიც არის... შიმშილიც ნუ გინდათ, ცოდვებსაც ნუ მეერთავთ.. მართალია, მე მუცელ ცოდო და... მაგრამ... დიაღ. . დიაღ...—ასე უქადაგებენ მდიდრები მუშებს და გლეხებს.

არ გინდათ ადგილი? სიტყვის თავისუფლება მოითხოვეთ! კეთილი, იყავით თავისუფალნი, სწერეთ თავისუფლად, ილაპარაკეთ თავისუფლად ხოლო არ შეეხოთ თქვენს ნაწერებში არც მთავრობას, არც სარწმუნოებას, არც პოლიციას, არც ზნეობას, არც მთავრობის კაცებს, არც პოლიტიკას, არც ერებს, არც ოპერას, არც სხვა წარმოდგენას, არც საზოგადოთ ვისმე, ვისაც კი რამე დამოკიდებულება აქვს ვისმესთან,—და შეგიძლიათ ყველაფერი სწეროთ და ბეჭდოთ ორისა და სამის ცენზორის ზედამხედველობის ქვეშ.—გვიბნევიან ტვინმეისტერები მწერლებს.

გამართეთ კრებები, ილაპარაკეთ თავისუფლად ხოლო კრებებზე არ შეეხოთ სახელმწიფოს ძირითად კანონებს, არ გამოსთქვათ რამე საყვედური მთავრობის რომელისამე დაწესებულების წინააღმდეგ, არა სთქვათ რა ვისიმე კერძო-ცხოვრების შესახებ, თუ შეეხებით „სარევოლიუციო“ აზრებს, ისე უნდა ილაპარაკოთ, რომ არავინ არ უნდა გაიგოს თქვენი ნალაპარაკევი და დასასრულ კრების თავმჯდომარე უნდა იყოს პოლიციელი, რომელსაც შეუძლიან გაჰფანტოს საზოგადოება...

**

ასე ფიქრობენ და ლაპარაკობენ რეაქციონერები. იბრძვიან წარსულისათვის, დაუზოგავად ხარჯავენ ქაღალდს, ხარჯავენ მელანს, განსაკუთრებით წითელ მელანს, რომლის შემწეობით გაანადგურეს, სხვათა შორის, წარსული კვირის ჩემი ფელეტონი.

ძლიერია ბიუროკრატია და რეაქცია! ძლიერია ქაღალდზე და დარწმუნებულია, თუ ქაღალდზე წაშალა რამე, ცხოვრებაშიც წაიშლება. ბიუროკრატია ხომ საზოგადოდ ქაღალდით და მიწერ მოწერით აკეთებს ყველაფერს, განაგებს საქმეებს, აწესრიგებს ცხოვრებას. ბიუროკრატიის შეხედულებით, საკმარისია, შესაფერი ქაღალდები მიიწეროს და ყველაფერი გაკეთდება. მას სჯერა, მაგალითად, რომ თუ „მაგარი“ ქაღალდი მიიწერა, სადაც ჭირი არის, შიმშილი და გაჭირვება მოისპობა, ზამთარში სიცხე დადგება და ზაფხულში სიცივე*).

თუ სადმე მოუსავლობაა, საკმარისია მიეწეროს მაზრის უფროსებს და ბოქაულებს ბრძანება და მაშინვე მოუსავლობა მოისპობა და მაზრის უფროსები და ბოქაულები შეადგენენ ჯეროვან მოხსენებას იმის შესახებ, რომ არავითარი მოუსავლობა არ ყოფილა, ეს მხოლოდ უსაქმო მეგაზეთეების გამოგონილიაო.—თუ ხალხი გაუნათლებელია, სკოლები არაა,—საჭიროა მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი ბრძანება გამოსცეთ და ხვალვე მოგვივა რაპორტი, რომ სკოლები არის და მოსწავლეც ძალიან ბევრია ყველგან.—თუ საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამს ეხლანდელი წეს-წყობილების შესახებ, მოითხოვს სახელმწიფო მართველ-გამგეობაში ჩარევას,—ყველაფერს ამას სულ მალე მოსპობს ბოლო, თუ ბოქაულებს მიეწეროთ საჭირო ზომების მიღებას და „ნამდვილი“ პოლიციური ცნობების შეკრებას. თქვენ მიიღებთ პოლიციელებისაგან შეკრებილ „ჭეშმარიტ“ ცნობებს, რომ ნამდვილი ხალხი ყველაფრით კმაყოფილია, რომ მას არც თავისუფლება უნდა, არც კონსტიტუცია, არც პარლამენტი...

ქაღალდი და ბრძანება ყოვლის შემძლებელია, ბიუროკრატიის შეხედულებით. თეთრი გაშავდება და შავი გათეთრდება, თუ თავის დროზე სტოლისუფროსმა ქაღალდი დასწერა, ნომერი გაუკეთდა, დავთარში ჩაიწერა, ზედ ბეჭედი დაესვა და ხელმოწერილი იქმნა ერთ იმ მაღალ-ხარისხოვან მოხელეთაგანის მიერ, რომელნიც ქვეყანას, უნდათ, წაღმა მოაბრუნებენ, უნდათ—უკუღმა. თავხედი ბიუროკრატია იმასაც კი ფიქრობს, რომ სიკვდილის მოსპობაც კი შეუძლია ბრძანების გაცემით, ავადმყოფობის და სენის მოსპობად ხომ საკმარისია უბრალო ქაღალდის შედგენა. რომ ბიუროკრატია სწორედ ასეთი აზრის არის, ამის მაგალითი ათასი და ასი ათასია.

მოვიყვან ერთს: ვარონეჟის გუბერნიის ერთს მაზრაში ამ ბოლო დროს ძალიან გავრცელდა სახალხო ფურცლები, რომლებიც დაიბეჭდა ადგილობრივი მაზრის უფროსის განკარგულებით. ეს დაბეჭდილი ფურცლები იმას უმტკიცებს გლეხებს, რომ არ შეეშინდეთ ხოლერის, ხოლერას მარტო მომართულების და არა-კეთილსაიმედო ექიმების და სტუდენტების წყალობით აქვს გატეხილი სახელი, თორემ ხოლერა ნამდვილად სრულებით არაა ცუდი სენი, ხოლერისაგან უფრო ცოტა კვდება ხალხი, ვიდრე სხვა ავადმყოფობისაგან; თუ ვისმე უნდა, რომ ხოლერამ არაფერი ავნოს, ღვთის შიში ჰქონდეს, სხვა არა უნდა-რა; განსაკუთრებით საჭიროა, რომ კვირა-უქმე დღე გლეხებმა ლოცვაში გაატარონ; დაესწრონ ეკლესიაში წირვას და მერე, როცა სახლში დაბრუნდებიან, იკითხონ სადვთო წერილის წიგნები. ხოლერაო, აფრთხილებს მაზრის უფროსი ხალხს: ნამეტან დევნის ისეთ ადამიანებს, რომელთაც ღმერთი და ხატები არა სწამთ და არ უყვართ წირვა-ლოცვაო.

გამოსცა ვარონეჟის გუბერნიის მაზრის უფროსმა ასეთი ფურცლები და მშვიდობით განისვენა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამის შემდეგ ხოლერას მთლად რომ გაენადგურებია მთელი რუსეთი, მის მაზრაში მაინც ვერ შებედავდა. გუბერნატორისაც ამის დაგვარი მოხსენება წარუდგინა: თქვენო აღმატებულებავ, ამ თვის ამ რიცხვის და ნომრის ბრძანებაზე მაქვს ბედნიერება, გაუწყოთ თქვენს აღმატებას, რომ მიღებულია საჭირო ზომები და ჩემი მაზრა სრულიად უზრუნველყოფილია და დაცულია ხოლერის სტუმრობისაგან...

**

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან

რედაქცია აუწყებს იმას, ვისაც წლის მეორე ნახევრის ფული არ შემოუტანია, დროზე შემოიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობა 1 ენკენისთვეს. ამასთან სთხოვს რედაქცია ხელის მომწერს, ფულის გამოგზავნის დროს, გამოგზავნოს აგრეთვე ბანდეროლიანი ნამდვილი ადრესი.

ნახევარი მილიონი ხალხი, რომელსაც რამდენიმე მილიონი დამშეული და დატანჯული სული მოელის, უბრალო კალმის მოსმით ვერ ამოიშლება რუსეთის ცხოვრებიდან.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 27 აგვისტოს, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, გარდაიცვალა ქართლში გლეხების დასამშვიდებლად გაგზავნილი **გენერალ-ადიუტანტი თავადი ი. გ. ამილახვარი.**

26 აგვისტოს მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა **სამაზრო საერო კრებაში 6 წარმომადგენლის ასარჩევად.** ამ დღესაც ბევრი ხალხი მოაწყდა საბჭოს. ქალაქის თავმა სხდომის გამართვა გამგეობის საკრებულო დარბაზში გადასწყვიტა. ჯერ სხდომა არ იყო დაწყებული, რომ ხალხი დარბაზში შევიდა და მოითხოვა, ხალხიც უნდა დაისწროთ კრებაზედ და ორატორებსაც ნება მისცეთ ლაპარაკისაო. ქალაქის თავმა ხმოსნების თანხმობით ნება მისცა აერჩიათ ათ კაცამდე და ამათ მიეღოთ მონაწილეობა თათბირში. უკვე 12 საათი იქნებოდა. დამსწრეთ განაცხადეს, ბევრი ჩვენი ამხანაგი წავიდა და გთხოვთ, ხვალისათვის გადასდოთ კრებაო. საბჭომ ეს მოუხერხებლად სცნო. ხალხის წასვლის შემდეგ კრება გაიმართა. საბჭომ თათბირის შემდეგ გამოსთქვა, რომ წარმომადგენლებმა მოითხოვონ ისეთის ერობის შემოღება, როგორიც ციმბირისთვის ტომსკის საგუბერნიო საზოგადოებებმა შეიმუშავეს. წარმომადგენლებად ისინი აირჩიეს, ვინც გუშინ დავასახელეთ, სახელდობრ: თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ან. ნ. ფურცელაძე, თავ. ა. მ. არგუთინსკი, თავ. გ. მ. თუმანოვი, მ. ნ. ოსტროკორსკი და ექიმი მ. ვესელოვზოროვი, ხოლო კანდიდატებად თავ. ვ. ს. მიქელაძე, ა. ს. ბაბოვი და ფლორენსი.

◆ ტფილისის მაზრის მემამულეთა გლეხობისა და ტფ. ქალაქის წარმომადგენელთა არჩევანი **სამაზრო საერობო კრებაში** უკვე დასრულდა, სამაზრო კრება დაიწყება ხვალ, 29 აგვისტოს, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. სუმბათაშვილის თავმჯდომარეობით.

◆ ქალაქ **გორის წარმომადგენლებად** სამაზრო საბჭოში საერობო დაწესებულებათა შესახებ მოლაპარაკების დროს იქმნებიან ქალაქის მოურავი გრიგორაშვილი და იმისი თანაშემწე საბო.

◆ **ქართლის ამბების შესახებ** სატახტო ქალაქის გაზეთებში სააგენტოს შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი: „გორისა და დუშეთის მაზრაში საქმე გამწვავდა, შეიარაღებული ბრბოები სძარცვავენ და ხოცავენ მშვიდობიან მცხოვრებთ. გაიგზავნა კომისია იმ ზარალის გამოსარკვევად, რომელიც გლეხებმა მიაყენეს მემამულეებს. კომისიას თან ჯარი დასდევს. კომისიის მოქმედებას კარგი ნაყოფი მოაქვს. მცხოვრებნი მზად არიან დაემორჩილონ სოფლის მოხელეებს და წინააღმდეგობა გაუწიონ აგიტაციას“.

◆ როგორც საგუბერნიო საიხედრო საკრებულომ გაანაწილა, წელს **სამხედრო სამსახურში მიიღებენ** ტფილისიდან—253 კაცს, ტფილისის მაზრიდან—288, ახალ-ქალაქისა—341, ახალციხისა—168, ბორჩალოსა—457, გორის—832, დუშეთისა—273, სიღნაღისა ზაქათლის ოლქით—426, თელავისა—253, თიონეთისა—109. სულ 3402 კაცი.

◆ **თიანეთის მაზრაში წელს კენჭის ამოღება** სამხედრო სამსახურისთვის დაიწყება პირველ ენკენისთვიდან, დანარჩენ მაზრებში 15 აგვისტოდან.

◆ **გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად,** როგორც წინადაც ვწერდით, დაინიშნა არქიმანდრიტი გიორგი (ალადაშვილი).

◆ მალე ინჟინერები წავლენ **თავ. დ. მელიქიშვილის მამულში რკინის გზის მიმოსვლების გამოსაკვლევად.** გზა უნდა გაიყვანონ ყარსის შტოს ახტალის სადგურებიდან. **სახერხ ქარხნების და სხვა შენობების** ასაგებად უცხო-ქვეყნელთა ამხანაგობას მიუწვევია ინჟინერ ტეხნიკოსი ქურდიანი.

◆ **სამრევლო საეკლესიო სკოლების სამაზრო ზედამხედველთა კრებამ** 26 აგვისტოს მთელი სხდომა მოანდომა სასწავლო პროგრამის შესახებ მოხსენების განხილვას. რადგან სამღვთო სჯული ქართულად უნდა ასწავლონ და ბევრი დრო აღარ დაიკარგება, კრებამ დაადგინა, შემცირდეს სამღვთო სჯულის გაკვეთილები. კრებამ ზოგადი გეგმა შეიმუშავა და დაადგინა, თითოეულ საგნის პროგრამის შემუშავება მიენდოს განსაკუთრებულ კომისიებს. სამღვთო სჯულისა და გალობის პროგრამის შემუშავება მიენდო მღ. ცინცაძის და მღ. მიხაილოვსკის; დედა-ენისა და ჰიგიენასი—ილ. ფერაძეს; რუსულისა და ბერძნულის ენებისა—ილ. ფერაძის, კორხაჩიძის და მღ. ციცქიშვილს; ანგარიშისა, გეომეტრიისა, ფიზიკისა, საზოგადო, ქართულ და რუსულ ისტორიისა და სამშობლო გეოგრაფიისა—ა. ნატროშვილს. კომისიებს ნება აქვთ პროგრამების შემუშავების დროს მოიწვიონ მცოდნე პირნი.

◆ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის მოადგილის თავ. ა. ჯამბაკურიან-ორბელიანის თავმჯდომარეობით, 26 აგვისტოს დეპუტატთა საკრებულოში მოხდა სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს სათავად-აზნაურო თანხიდან **სტიპენდიების დანიშვნა.** კომისიამ დაადგინა, მიეცეს სტიპენდიანტებს სტიპენდიები ივლისისა და აგვისტოს თვეებისა.

◆ ხვალ, 29 აგვისტოს **დაიწყება ელექტრონის ვაგონების მიმოსვლა** ორთაჭალის შტოზე.

◆ ამ დღეებში ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატებმა სთხოვეს ეგზარხოსს, დაიჩქაროს სრულიად **საეგზარხოსო სამღვდელოების კრების მოწვევა.** მოწვეულ უნდა იქნას სამღვდელოება ქართლ-კახეთისა, იმერეთისა, გურია-სამეგრელოსი და აფხაზეთისა.

◆ ჟურნალ „სასულიერო მოამბეს“ რედაქციის თათბირზე გამოითქვა, რომ **ჟურნალი სამღვდელოებას გადაეცეს.** სამღვდელოება მომავალ კრებაზე თვითონ გადასწყვეტს, რა მიმართულების უნდა იყოს ჟურნალი.

◆ **სპარსეთის შაჰი** ბალაჯარას ჩავა დღეს საღამოთი.

◆ სასინოდო კანტორის საბჭომ ამ დღეებში მოინდომა რევიზია **გაეწია კანტორის ხაზინადრის** ალექსანდრე არდაზიანისთვის. რამდენჯერმე შეეკითხა საბჭო, მაგრამ არდაზიანი უთვლიდა, ავადმყოფობისა გამო მოსვლა არ შემიძლიანო. საბჭომ ვადა დაუნიშნა ხაზინადარს და მოსთხოვა, უსათუოდ გამოცხადებულიყო რევიზიის მოსახდენად. ამის შემდეგ ხაზინადარი სადღაც გადაიკარგა და ერთის კვირის განმავლობაში არ იცოდნენ, სად გაჰქრა კაცი. ამ დღეებში ნათესავებს ავადმყოფი არდაზიანი მიხეილის სამკურნალოში მიუყვანიათ. არდაზიანს დამბლა დასცემია და სისხლი ტვინში ავარდნია. ეს მეორე დღეა უგრძნობლად არის. კანტორა გამოძიებას შეუდგა. ჯერჯერობით არ იციან, სად არის ოთხი წიგნი, რომლებითაც სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში რამდენიმე ასი ათასი მანეთი ინახება მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად შეგროვილი, კანტორის მოხელეთათვის ჯამაგირების თანხა, და სხვა ფული.

◆ 24 აგვისტოს კავკასიის ნამესტნიკის საბჭომ განიხილა განსაკუთრებულ კომისიის მიერ შედგენილი **სახალხო სკოლების პროგრამის პროექტი.** საბჭომ პროგრამა ცვლილებებით დაამტკიცა.

◆ გორში, 26 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე, **მოუკლავთ თავ. ლევან ციციშვილი.** მიზეზი მკვლელობისა ვერ გავიგეთ.

◆ გორის მაზრის სოფელ ხანდაკში **მოუკლავთ სოფლის მწერალი** ლუკიანოვი.

◆ 17 აგვისტოს დილით, სოფელ მუხრანის მახლობლად, როგორც „რუს. ვედ.“ გვატყობინებენ, **შეიარაღებული ხალხი დასცემია მარკოვის სახლ-კარს და [illegible] წაურთმევია.**

◆ ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობამ წერილობით აცნობა **წელს გამორიცხულ 160 მოწაფის** უკან მიღების ამბავი და ის, რომ 1 სექტემბრიდან 15-მდე ეგზამენები უნდა დაიჭირონ.

◆ ამ რამდენისამე დღის წინად შორაპნის მაზრის დაბა საჩხერის მახლობლად, „ჩ. ვ.“-ს სიტყვით, **მოუკლავთ ექვსი კაცი,** რომელთაც სოფლიდან სანოვაგე მოეტანათ დაბაში და უკან ბრუნდებოდნენ. ამბობენ, ამ მკვლელობაში მონაწილეობა მიუღია აზნაურს ბაქრაძესაო. იგი უკვე შეუპყრიათ. მკვლელობის მიზეზად ასახელებენ დავას, რომელიც გლეხებსა და თავად-აზნაურებს შორის ყოფილა.

◆ სიღნაღის მაზრის სოფელ ლაგოდეხში **სახაზინო ადგილები დარიგებული ჰქონიათ შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულ რუსის გლეხობას.** ამ გლეხებს თავიანთ მხრივ მიწა იჯარით მიუციათ იქვე მახლობლად მცხოვრებ ქართველ გლეხებისთვის. როგორც უკანასკნელნი აცხადებენ, რუსები უზომო საიჯარო გადასახადს ახდევინებენ. ეხლახან ქართველ გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ მათ, რუსების დაგვარათ, მიეცეთ თავისუფალი სახაზინო ადგილები თუ უფასოდ არა, იჯარით მაინც და ამით შიმშილისგან დაიფარონ. თურმე ოთხი წელიწადი მეტია ეს ძველიდანვე მკვიდრი გლეხები ესე ემუდარებიან მთავრობას და სთხოვენ გადმოსახლებულ გლეხობასთან გათანასწორებას. ბოლოს მათი თხოვნა დაუკმაყოფილებიათ და ადგილების დარიგება გადაუწყვეტიათ, მაგრამ, როგორც თვითონ გლეხები სწერენ, ეს დაკმაყოფილება მარტო ქაღალდზე მომხდარა. ლაგოდეხის „დაჩაში“, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ორმოცდა რვა კომლ ქართველ გლეხს ჰქონია ცამეტი დესეტინა მიწა, ხოლო გადმოსახლებულ რუსებს-კი, რომელთა რიცხვი ორმოცამდეა, რვაას ორმოცდა რვა დესეტინა. აღნიშნულ ადგილებში რუსები უხდიან ხაზინას ოთხას ოცდა ცხრა მანეთს, ხოლო ქართველები აძლევენ ხაზინასაც და თვით რუსებსაც, რომელთაგან, როგორც ვთქვით, რამდენიმე ნაჭერი მიწა აქვთ იჯარით აღებული, ორი ათას მანეთზე მეტს. ამასაც ამბობენ გლეხები, რომ მთელი ლაგოდეხის „დაჩა“ ჩვენი მამა-პაპით იყო დასახლებულიო.

◆ ამას წინად ტფილისის მაზრის, სოფელ კოსალარის მაჰმადიანებს შუამდგომლობა აღუძრავთ ნამესტნიკის წინაშე, რომ მიეცეთ თავისუფალი **სახაზინო** ადგილები და დაუბრუნდეთ ის ადგილებიც, რომელიც მთავრობის განკარგულებით, ბელი-კლიუჩის რუსს **გლეხობას გადაეცა.**

◆ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ბორჩალოს მაზრის სოფელ ჯიგრაშენის გლეხებს უთხოვნიათ მთავრობისათვის, რომ მათ მებატონეთა სასარგებლოდ მხოლოდ მეათედი გადახდეთ.

◆ 26 აგვისტოს, დილის 4 საათზე, როგორც კარაკლისიდან გვატყობინებენ, ვიღაცას **დაურღვევია ლიანდაგი** მე-145 ვერსზე. საბედნიეროდ ეს გარემოება ადრე შეუმჩნევიათ და უბედურებას გადაურჩენიათ სახალხო ნატარებელი № 75.

◆ დუშეთის მაზრის **ზემო მთიულეთის საზოგადოების გლეხებს** შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე, რომ სახნავ-სათესი მიწები თანასწორად დაიყოს მათ შორის და ამით უსიამოვნება მოისპოს.

◆ ტფილისში მცხოვრებ მაჰმადიანებს განუზრახავთ **მაჰმადიანთა კლუბის დაარსება.**

◆ ბაქოში პოლიციას 8 აგვისტოს აღმოუჩენია **4 ყუთი, სასროლი პატრონებით** სავსე. სულ ამ ყუთებში ყოფილა 7,000 პატრონი. ყუთები ეკუთვნოდა შემახის მცხოვრებს ალი-საფტარ-ოღლი ახვერდოვს.

◆ გორის მაზრის სოფელ კირბალში მცხოვრები გლეხები, როგორც გუშინ ერთმა გლეხმა გადმოგვცა, **მორიგებულან მემამულეებთან მეათედზე.**

◆ თელავის მაზრის სოფელ შაშიანის გლეხებს უთხოვნიათ, სახელმწიფო **გარდასახადები გაწერილ იქნას მიწების რაოდენობის მიხედვით და თვით მიწების** უფრო სამართლიანად დაიყოს.

◆ ამ ბოლო დროს ბევრი საყვედური გაისმის ტრამვაის დამტარებლებზე და ბევრი შემთხვევაც იყო უბედურებისა. ტრამვაის შეთვალყურე კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ტრამვაის დირექტორის განმარტება; საზოგადოებამ რომ ტეხნიკის მცოდნე დამტარებელი მოიწვიოს, ერთი სამად დიდი ხარჯი მოუვა; საშიროების დროს ყველა ლიანდაგზე ინსტრუქტორები გვყავსო. კომისიამ დაადგინა შეატყობინოს საზოგადოებას, რომ [illegible] დენი ინსტრუქტორი ჰყავს.

◆ 26 აგვისტოს მოხდა კრება ტფ. პოლიციის შემნახველ-გამსესხებელ კასის წევრთა. კრებამ 1904 წლის ანგარიში დაამტკიცა და რამდენიმე საკითხის განხილვის დასასრულ მოხელე პირები ამოირჩია გამგეობის თავმჯდომარედ აარჩია—მ. მ. კურისი, იმის მოადგილედ ს. გ. ბიწკოვსკი, ხოლო გამგეობის წევრებად დუშინსკი და ბ. ზედგინიძე. ხაზინადრად მ. ჩ. ჩუფრანოვი.

◆ მ. ა. სუნდუკიანცს შუამდგომლობა აღუძრავს, ნება მიეცეს გამოსცეს ბაქოში რუსული ყოველ-დღიური გაზეთი „ბაკინსკაია ჟიზნ.“-ი.

◆ მე-6 ნაწილის ბოქაული გლებოვი სამსახურს თავს ანებებს. ამ ნაწილის ბოქაულად გადაჰყავთ მეხუთე ნაწილის ბოქაული გურგენიძე, ხოლო იმის ადგილზე მეოთხე ნაწილის ბოქაული ბაწურინი.

◆ ცეცხლის მქრობელ რაზმის დარაჯი ივანე ვინოკუროვი ელისაბედის ქუჩაზე მიდიოდა ცხენით ძალზე მთვრალი. რაღაც მიზეზისა გამო დარაჯი ცხენიანად წაიქცა და ისე ძლიერად დაეხალა, რომ თავის კეფა გაუტყდა. დარაჯის მორჩენა საეჭვოა.

◆ 25 აგვისტოს ღამე ვიღაც ქურდები შეპარულიყვნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მომხმარებელ მაღაზიის დიდუბის განყოფილებაში. პოლიციელს ღამე შეუნიშნავს მაღაზიაში სინათლე და რადგან მიმხვდარა ქურდები იყვნენ, უეცრად თავს წადგომია. ქურდები გამოცვივნულან, მაგრამ პოლიციელს ერთის დაპატიმრება მოუსწრია. დაჭერილი კაცი თავის ვინაობას არ ამხელს, ამბობს მხოლოდ რომ მას იოსებს უძახიან.

◆ 26 აგვისტოს ხოსროევის ქარვასლაში მოვაჭრე ალაკპერ ტაგიევს მაღაზიაში შეჰპარვიან ვიღაც ქურდები და საწყობიდან ხალიჩები და სხვა ნივთები, სულ 863 მან., მოუპარავს. ეჭვი მიიტანეს საწყობში მსახურ ალიევსა და ალა-უსუფ-ოღლიზე, რომელნიც დააპატიმრეს.

ქუთაისის ახალი ამბავი

◆ **23 აგვისტოს** თოფურიასეულ სავადმყოფოში გარდაიცვალა კონსტანტინე კონსტანტინეს ძე დადეშკელიანი, უკანასკნელი მემკვიდრე სვანეთის სამფლობელოსი. როგორც ამბობენ, განსვენებულს კიევის გუბერნიაში დარჩენია ერთ მილიონ მანეთად ღირებული უძრავი ქონება.

◆ ქუთაისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნ ტატიშვილს ნიშნავენ შორაპნის მაზრის უფროსად.

◆ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის მამულების ყოფილი გამგე ტფილისში ნესტორ ყუყუშვილი დაინიშნა ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწედ.

◆ შორაპნის მაზრის უფროსის ყოფილი თანაშემწე ალექსანდრე გამრეკელი დაინიშნა ლეჩხუმის მაზრის უფროსად.

◆ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გადასაყვანი ეგზამენები დანიშნული იყო 16 აგვისტოსთვის, მაგრამ ძალიან ცოტანი გამოცხადდნენ. მისაღები ეგზამენები ამავე სასწავლებელში დანიშნულია 30 და 31 აგვისტოსთვის.

◆ ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი საბირკოვი თემირხანშურაში გადაიყვანეს რეალურ სასწავლებლისავე ინსპექტორად.

◆ ქუთაისის ქალაქის საყანთრო მეტად საშიშ მდგომარეობაშია. მგონი, რაც ეს საყანთრო აუშენებიათ, მისთვის რემონტი არ უქნიათ. თაღებს უშველებელი ნაპრალები უჩანს, ქალაქის გამგეობასაც ხის ბოძები შეუყენებია, რასაც დანგრევისაგან საყანთროს გადარჩენა არ შეუძლია. საჭიროა ეხლავე შეუდგნენ მის შეკეთებას.

ამ გვარი შჯულს პატრონა, ამ გვარი ბუნებისაა ბიუროკრატია. მას არაფერი არა სწამს გარდა იმისა, რომ ქვეყნის პატრონი და პატრონი ბიუროკრატია და ყველაფერი კეთდება ბიუროკრატიის მიერ გამოცემულ ბრძანებით და ქადილებით... ქადილებით.

ეს ბიუროკრატია, რომელიც ჩვენში ჩვენის დახრჩობის მეტს არაფერს არ ფიქრობდა (და რასაკვირველია, არც ახლა ფიქრობს სხვას რასმე), ამ ბოლო ხანებში აცხადებს, ვითომც ჩვენთვის სიკეთე ემეტება და რადაც ერობის და ეროვნულ სკოლას გვპირდება.

მერე შეუძლია ან ერთის ან მეორის მოცემა? ოდინდიც არა! ეს კარგად იცის თვითონ ჩვენმა ბიუროკრატიამაც, მაგრამ რას და ჰკარგავს, რომ დაგვპირდეს, დროებით თავი შეგვაქციოს, ერთიორი გულუბრყვილო ადამიანი გააბრიყვოს, მოიმხროს?!

რა არის ერობა? ერობა არის თვით-მმართველობა, თვით-მმოქმედება, თავისუფლება. ერობა ნიშნავს იმას, რომ სოფლის, მაზრის თუ გუბერნიის მცხოვრებნი თვითონ, მთავრობისაგან დამოუკიდებლად, უნდა განაგებდნენ ადგილობრივ საქმეებს, მეურნეობას, სწავლა-განათლებას, საქმოსნო საქმეს და სხვას. ერობა სრულიად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს და მის მთავრობას, როგორც განსაკუთრებულ ორგანიზაციას. ცხოვრების განვითარება იწვევს ერობის გაძლიერებას და შესუსტებას მთავრობისა და ცენტრალიზმისას. ერობა თანდათან მიიღებს თავისუფალ კავშირების ხასიათს, მისი მოქმედების ასპარეზი უფრო და უფრო განვითარდება და იგი მიგვიყვანს მომავალ საზოგადოებრივ წეს-წყობილებასთან, როდესაც სრულიად მოისპობა მთავრობა, როგორც განსაკუთრებული ორგანიზაცია, მოისპობა სახელმწიფოც, როგორც ძალ-დატანებით დაწესებულება, და იქნება თავისუფალი კავშირი თავისუფალ თვით-მმართველ თემებისა..

რაც დრო გადის, ბიუროკრატია სუსტდება, ჰკარგავს მნიშვნელობას, ძალას, მის ადგილს იჭერს ერობა—ხალხის პირდაპირი თვითმართველობა. ხალხი, ადგილობრივი მცხოვრებნი აწარმოებენ იმ საქმეებს, რომელთაც დღეს განაგებს ბიუროკრატია თავის მოხელეების შემწეობით. ნამდვილი ხალხური მართველობა და წესწყობილება არის მხოლოდ მაშინ, როდესაც ძლიერია ერობა, საერობო თვითმართველობა. დემოკრატია მაშინ არის გამარჯვებული და მისი პატრონობა მაშინ არის უზრუნველ ყოფილი, როდესაც ფართო და დამოუკიდებელი ასპარეზი აქვს მოპოვებული ერობას. არავითარი თვით მართველობა, თავისუფლება პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება არ არსებობს იქ, სადაც ხალხი არ თვითმართველობს ერობის შემწეობით. ერობაა ნამდვილი ხალხური წესწყობილება, ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილებაა, ერობა ხალხის წარმომადგენელი, ხალხის ინტერესების დამცველი და როგორც თვითონ ხალხი მუდამ ებრძვის ბიუროკრატიას განცალკევებულ ორგანიზაციას, ისე ერობაც ბიუროკრატიის წინააღმდეგა ყოველთვის და მუდამ იმას ცდილობს, რომ მოსპოს ბიუროკრატია და მისი ადგილი დაიჭიროს...

ჩვენში ერობის შემოღება უნდათ, უნდა ბიუროკრატიას ეს იმას ნიშნავს, რომ ბიუროკრატია თავის წინააღმდეგ მიდის, აწესებს ისეთ რასმე, რაც მას ძირს უთხრის და ადრე თუ გვიან სრულიად მოსპობს. ეს, რასაკვირველია, ძალიან გაუგებარია.

მერე ასე გულუბრყვილო ბიუროკრატია არა. თავს ტყუილად ნურვინ მოიტყუებს. ბიუროკრატია იძულებული გახდა, ღვთის ხალხისათვის, უნდა ერობის შემოღება. მაგრამ საქმე ისაა როგორის ერობას შემოიღებს? ერობას გვაძლევს მთავრობა, მაშასადამე მოგვცემს ისეთს, როგორიც მას სურს. მას კი, უეჭველია, სურს სუსტი, უფლებას მოკლებული, შეზღუდული, ბიუროკრატიის ხელქვეით მყოფი ერობა, რომლის ადაგმა მას ყოველთვის შეეძლება.

ხალხს კი როგორი ერობა უნდა? რასაკვირველია, რაც შეიძლება, ფართო, დამოუკიდებელი, ძლიერი, სრული ერობა და ასეთს ერობას ჩვენ ბიუროკრატია თვითონ არასოდეს არ მოგვცემს, არ მოგვცემს განსაკუთრებით ჩვენი ბიუროკრატია. ერობამ რომ დააკმაყოფილოს ჩვენი ხალხი, აუცილებლივ საჭიროა, 1) ერობა იყოს მართლა ხალხური, დემოკრატიული, ე. ი. ერობის თვითმართველობაში მონაწილეობას უნდა იღებდეს ყველა განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა, ქონებისა; საერობო არჩევნები უნდა იყოს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და დახურული კენჭის ყრით. 2) სრულიად დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ ბიუროკრატიისაგან ერობის კრებები და ბიუროკრატიას არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს ხალხისაგან არჩეულ პირებზე (არ შეეძლოს დასჯა ადმინისტრატიული წესით, გადაყენება, დაჭერა და სხვ.). 3) ადგილობრივ საქმეებს უნდა განაგებდეს საერობო თვითმართველობა სრულიად დამოუკიდებლად კანონების საზღვრებში და თუ უკანონოდ მოიქმედა რამე, იმის განხილვა უნდა მიენდოს სასამართლოს. 4) საერობო თვითმართველობა უნდა იყოს ფართო, ე. ი. ერობა უნდა განაგებდეს სწავლა-განათლების საქმეს, მრეწველობის და მეურნეობის საქმეს, ადგილობრივ მიწის მფლობელობას, ეხმარებოდეს მუშებს და იცავდეს მათ, აუმჯობესებდეს სანიტარულ მდგომარეობას და სხვა და სხვ. ერობის განვითარებაა მისი საქმეების გაფართოვება; ერობა თანდათან თვითონ უძღვება მრეწველობას და სასოფლო მეურნეობას. მის ხელში გადადის სახელმწიფოს ფუნქციები.

გარდა ამისა, ერობა არის თვით-მმართველობა, თვითმოქმედება, ამიტომ ჩვენში რომ ერობამ იხეიროს, ადამიანს შეეძლოს ერობაში თვითმოქმედება, აუცილებლივ საჭიროა ძირითადი პირობა თვითმოქმედებისა—თავისუფლება სიტყვისა, სინიდისისა, წერისა, კრებისა; უზრუნველ ყოფილ უნდა იქნას ადამიანის პიროვნება; უნდა მოსპობილ იქნას ადმინისტრატიული თვითნებობა, პოლიტიკური და ეროვნული დაჩაგვრა.

მაგრამ შეიძლება ეს? შეიძლება განხორციელდეს ან ერთი, ან მეორე, თუ არ შეიცვალა დღევანდელი წყობილება, არ შეიცვალა მთავრობა, მისი უფლებები არ გადავიდა საზოგადოდ ხალხზე, არ დაწესდა საზოგადოდ თავისუფლება და თვითმართველობა?..

ამისათვის ამაოა ყოველივე დაპირება და ერობა, ნამდვილი საერობო თვით-მმართველობა არ იქნება ჩვენში, სანამ არ შეიცვლება დღევანდელი წყობილება, (ავტონომია). მხოლოდ მაშინ შეიძლება დავაწესოთ ფართო, დამოუკიდებელი, ხალხური ერობა...

* *

მეორე საქმე, რომელსაც ასე უმოწყალესად გვპირდება ჩვენი ბიუროკრატია, არის ჩვენი დედა ენის უფლების გაფართოვება პირველ დაწყებითი სახალხო სკოლებში.

ამასაც, რასაკვირველია, თვითონ მთავრობა გვაძლევს, გვითმობს, და როგორც მიცემულს თავისებური ხასიათი აქვს. ეს, ჩვენი სამშობლო ენის აღდგენაც სახალხო სკოლებში მეტად ფრთხ-შეკვეცილია.

ქართულ ენას აძლევენ პირველობას ქართველი ხალხის დაწყებითი სკოლაში, მაგრამ რაკი ეს პირველობა გულით არ ემეტებათ, ამიტომ უყვედრავ საშუალებას ხმარობენ, რომ ქართულ ენას სახელად ჰქონდეს პირველობა, ისე კი ნამდვილად წინანდებურად დაჩაგრული და დაბეჩავებული უნდა დარჩეს ქართული ენა.

მარტო ერთი ქართული ენის შემოღება ვერ გაუკეთესებს ჩვენს სახალხო სკოლას. საჭიროა თვითონ სასკოლო პროგრამის შეცვლა. მაგრამ ამ ჟამად ამის შესახებ არაფერს ვიტყვი, ხოლო ის ვიკითხოთ: განა გაუკეთესდება ქართული ენის მდგომარეობა იმით, რომ მას მართლა დაუთმონ პირველობა არამც თუ მარტო პირველ დაწყებით, არამედ ყველა სკოლებში?

განა განვითარდება ქართული ენა, ქართული მწერლობა, წინ წავა ჩვენი განათლება, სკოლა, მეცნიერება, ხელოვნება? თუ ქართულს ენას არ მიენიჭა სრული პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებები, თუ ქართველ ხალხს არ მიეცა უფლება თავის დედა ენაზე ილაპარაკოს ყველგან, ყველა დაწესებულებაში არ იქნა შემოღებული ხალხის ენა?

სკოლა და ცხოვრება ვერ მოშორდება ერთმანეთს. სკოლა ემსახურება ცხოვრებას და თუ გვინდა ქართული სკოლის განვითარება, ჩვენი სწავლა-განათლების ფართოვანად მოწყობა და განვითარება, უნდა მივანიჭოთ ხალხს თვით მმართველობა.—ავტონომია...

სკოლაც და ერობაც მხოლოდ მაშინ გვექნება, როდესაც შეიცვლება დღევანდელი წყობილება...

სიტყვა.

თათრების და სომხების შეტაკება.

27 აგვისტოს ბაქოში ცეცხლი ყველგან ჩაქრეს. ქალაქი მტრის აოხრებულს ჰგავს. სახლები დანგრეული და გადამწვარია, ხალხი ამოწყვეტილია. ყველაზე მეტი ხალხი ისევ სადგურზეა, ბილეთის აღებას ვეღარ ასწრობენ. ყველა ეშურება გაქცევას ბალახანსა, საბუნჩასა და ბიბი-ეიბათში. ჯერ ისევ ცეცხლი უკიდია ნავთის კოშკებს. ქუჩებში ძალიან ცოტა ხალხი დადის და ყველა შეშინებული იქით-აქეთ იყურება.

26 აგვისტოს ძლივს გამოვიდა ადგილობრივი გაზეთი „კასპი“. როგორც ამ გაზეთის ცნობიდან სჩანს, დიდ ძალი თათარი და სომეხი უნდა იყოს მოკლული და დაჭრილი; განსაკუთრებით ბევრია თათარი. რა თქმა უნდა, უმრავლესობას შეადგენენ ღარიბ-ღატაკნი, დღიური მუშები, რომელნიც ლუკმა-პურს ძლივს შოულობდნენ.

როგორც გუშინ ვსწერდით, ამიერ-კავკასიის რკინის გზამ აგენტები გაგზავნა ბაქოში ზარალის გამოსაკვლევად და ცნობების შესაკრებად. ამათ ცნობებიდან ჩანს, რომ რკინის გზასაც დიდი ზარალი მოსვლია. საბუნჩისა და ბიბი-ეიბათის ქარხნები რომ წარმოებაში მოიყვანონ, საჭიროა სულ ცოტა ორი თვე მაინც, ისიც მაშინ, თუ გარემოება ხელს შეუწყობს.

ნამესტნიკის თანაშემწემ შუშაში გაგზავნილ თაყაიშვილისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო ალდამიდან: „წინად გაგზავნილი ორი ბატალიონი და ორი სოტნა 23 აგვისტოს შუშაში მოვიდნენ. ერთი ბატალიონი და სოტნა მე მომდევენ. ევლახიდან გზაზე მახლობლად მცხოვრებ თათრების დამშვიდება მოგვიხდა. ესენი იმან ააღელვა, რომ შეტაკების შემდეგ სომხები განაგრძობენ ასკერანის ხეობის მახლობელ სიმაღლეების დაჭერას, თან ესვრიან გამვლელ თათრებს და იმ ცხენოსან რაზმსაც-კი, რომელიც შეიხ-ულისლამს ახლდა. დღეს გზაზე შევხვდი შეიარაღებულ თათრებს, რომელთაც მოკლულები და დაჭრილები მოჰყავდათ. როგორც აღმოჩნდა, 22 აგვისტოს, ღამე, ხეობაში შეტაკება მომხდარა და ბევრი დალუპულა. ალდამში მოსვლისას დაუყონებლივ რაზმი გავგზავნე ასკერანის ხეობის ჩრდილოეთ შემოსავლის დასაჭერად. დანარჩენ ჯარით გაუდექი გზას. თან წავიღე შვიდი დღის ფოსტა. მომდევდნენ ფქვილით დატვირთული ფურგუნები, აგრეთვე ის მცხოვრებნი, რომელთაც ეშინოდათ შუშაში მისვლისა. („კავ.“)

როგორც ორდუბადიდან და დერბენტიდან იტყობინებიან, სომხებსა და მაჰმადიანებს იქაც მოსვლიათ შეტაკება.

რუსეთის ქრონიკა

ვარშავის ამბები. ვარშავიდან იცნობებიან, რომ ვარშავის გენერალ-გუბერნატორი გენ.-ად. მაქსიმოვიჩი იმიტომ დაუთხოვნიათ სამსახურიდან, რომ იმან ვერ გამოიჩინა მხნე მოქმედება რევოლუციონერთა მისწრაფებათა წინააღმდეგ.

იქიდანვე მიღებულის ცნობით, რომანოვის მაზრის ათი სოფლის გლეხები ძალიან ხუშთუთებია მძარცველთა ბრბოს. დღემდის გლეხებს 11 კაცი მოუკლავთ და 50 დაუჭრიათ.

ვარშავაში პოლიციას დაუჭერია „ბუნდ“-ის სარევოლუციო საზოგადოების რამდენიმე წევრი—ებრაელი. ხელში ჩაუგდიათ ამ საზოგადოების ყოველივე მიწერ-მოწერა. ამბობენ, როგორც მიწერ-მოწერიდან სჩანს, ბევრი ცნობილი კაცია გარეული ამ საქმეში. („რ. ვ“).

„პოტემკინის“ მატროსები. რუმინიაში დარჩენილი „პოტემკინი“-ს მატროსები კარგად მოწყობილან თურმე და ბევრს სახელი, პატივი და ხალხის თანაგრძნობა მოუპოვებიათ. ერთ მატროსს კონსტანცაში დუქანი გაუღია რომლისთვისაც „პოტემკინ ტავრიჩესკი“ დაურქმევია და განაღებული ვაჭრობა ჰქონია. სხვა ორ მატროსს ბუხარესტის პარკში საბანაოები გაუმართავთ და თან ნავები გაუჩენიათ. მსურველთათვის ზღვაში სასეირნოდ. ეს მატროსები თურმე აპირობენ სასეირნოდ გამართონ გემი, რომელსაც „პოტემკინი“ უნდა უწოდონ. ეს გემი თურმე ნამდვილ „პოტემკინი“-ს უნდა ჰგავდეს. („რ. გაზ.“),

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად ამ ჩემს წერილს მცირე ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში. ამა მიმდინარე წლის 21 აგვისტოს მე გახლდით სოფელ ფცის თამარაშენში ხილის ბაღების გასაშინჯად და სასყიდლად. სოფელში შესვლისათანავე გადამიდგა წინ შეიარაღებული ცხენოსანი შაშა შალიბაშვილი თავის ამხანაგ ერეკლე ბადრიშვილის თანხლებით და დამიწყო ჩვენების ჩამორთმევა, თუ მე ვინ ვიყავი. პასპორტის გასინჯვისათანავე გადასცა იგი ამხანაგს და მერე მითხრა, აბა თუ ვაჭარი ხარ, ამოიღე რაც ფული გაქვსო. მე რომ წინააღმდეგობა განუცხადე ფულის გადაცემაზე მან გამოიღო თოფი და ამოიღო მიზანში. ჩემს მახლობლად იდგა გლეხი ილიკო ხუციშვილი და სთხოვდა ვაჭარია და ნუ მოჰკლამო, მაგრამ მან, შალიბაშვილმა, გლეხის თხოვნას ყურადღება არ მიაქცია და დასჭყივლა: „მოეცა, თორემ შენც ზედ მიგაყოლებო!“ მე ხუციშვილს მაგრა ჩავსჭიდე ხელი იმ განზრახვით, რომ იქნება ორივე არ გაგვიმეტოს მეთქი. შალიბაშვილი ცხენიდან მარტო მე მიზანში ვერ მიღებდა და არც ხუციშვილის მოკვლა უნდოდა, ამისთვის იგი გადმოხტა ცხენიდან, ამომიღო მიზანში და მესროლა, მაგრამ განგებამ მიხსნა და არ მომხვდა. მერე ამოიღო ახალი პატრონა და ჩააგდო თოფში სასროლად, ხოლო მე ამ ხნის განმავლობაში (ვიდრე იგი სასროლად მოემზადებოდა) ხუციშვილს ავუშვი ხელი და გავიქეც მახლობელ ბოსლისაკენ. ამნაირად გადავირჩინე თავი. გამოვიკითხე სოფელში ამ კაცის ვინაობა, ვფიქრობდი, შეიძლება ვინმე შეშლილი ან ყაჩაღი იყოს მეთქი. მაგრამ სულ სხვა აღმოჩნდა. პირველი, ესე იგი რომელმაც მესროლა, შაშა შალიბაშვილი, გამოდგა სოფელ ბალთელი, ხოლო მეორე, ერეკლე ბადრიშვილი, სოფელ ავლევველი. ორივე წევრნი ყოფილან იმ სასიქადულო რაზმისა, რომელსაც ეძახიან „თავად-აზნაურთა მილიციას“ და რომელნიც ვითომდა სცდილობენ ხალხის დამშვიდებას და წაკიდულთა შერიგებას. აი თუ გინდათ, დამამშვიდებელიც სწორედ ასეთი უნდა! სხვათა შორის ვთხოვ ბ-ნ ერეკლე ბადრიშვილს, რომელსაც ჩემ წინააღმდეგ ხელი არ გამოუღია და მოწამესავით შაშა შალიბაშვილს გვერდით ედგა, გამომიგზავნოს ჩემი პასპორტი რედაქციის სახელზე.

კოტე მიხეილის ძე როსტომაშვილი

ვთხოვ პატივცემულ „ივერიის“ რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
27 აგვისტო

პეტერბურგი. გაზეთების ცნობით სახელმწიფო საბჭოს, განზრახულია, მიენიჭოს ისე, როგორც სათათბიროს, საკანონმდებლო ინიციატივისა და მინისტრთა შეკითხვის უფლება. ნავთის მწარმოებელთა სიეზდის თავმჯდომარე პაპპე ამბობს, ბაქოში მომხდარი არეულობა, თუ იგი ჩქარა ჩაქრება 150 მილიონი მანეთი დაჯდაო. მრეწველობის აღდგენა ითხოვს 9—12 თვეს. საჭირო იქნება დიდი დახმარება მთავრობისაგან. რადგანაც ნავთი ბლომადაა შემონახული, ამიტომ ფასი მაზე არ აიწევს, მაგრამ მაზუთი-კი ძნელი საშოვარი იქნება.

ბერლინი. კულმსა, ნაკელსა, ვირსიცსა და მარიენვერდერში ხოლერა გაჩნდა.

ნიუ-იორკი. სატოს სიტყვით იაპონია იმდენს ჯარს დასტოვებს შორეულ აღმოსავლეთში, რამდენსაც რუსეთი.

ტოკიო. არეულობა უკიდურესამდე მივიდა. ხალხი გამძვინვარებულია. საფრანგეთის მისსიის შენობას 80 სალდათი ცავს. ტოკიოს მუნიციპალიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ჰკიცხავს ზავის პირობებს და ითხოვს პორტ-სმუტის პირობის დარღვევას.

შანხაი. ხმებია, რომ ინგლისის მისსიას ტოკიოში ხალხი დაეცა თავს. მთავრობამ ოთხი გაზეთი შეაჩერა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
27 აგვისტო

პეტერბურგი. გამოცხადებულია, რომ ვისლის პირა მხარე საშიშია ხოლერის მხრივ. ვისლაზე გაიხსნა საექიმო პუნქტები. განკარგულება მოახდინეს პრუსიიდან საზღვრის რკინის გზებით შემოსულთ თვალ-ყური ადევნონ; თვალ-ყური უნდა ადევნონ აგრეთვე ბალტიის მხარის პორტებსა, კრონშტადტსა და პეტერბურგში.

სახელმწიფო ბანკის განყოფილების კანტროლიორი ფონ-შპინდლერი დაინიშნა ხსენებულ ბანკის ვოლოგდის განყოფილების უფროსად.

ლონდონი. „დეილი-ტელეგრაფ“-ის სიტყვით რატიფიკაციაზე უარის თქმა იაპონიის სახელს გაუტეხდა მთელის ევროპისა და ამერიკის თვალში.

სედლეცი, 26 აგვისტო. გუშინ საღამოს განაგრძეს ჩვენების ჩამორთმევა პოზდნიშენის ეკონომიის განადგურების შესახებ. ადგილობრივმა სტაროსტამ უჩვენა, რომ სტანოვოი გრინევი ცემით და ტუქვით აიძულებდა გლეხებს გამოტეხილიყვნენ და ეღიარებინათ, რომ იგინი დამნაშავენი არიან. ამასთან ემუქრებოდა გლეხებს, რომ იგი მეოთხე პირია ხელმწიფის შემდეგ. გაჩხრეკის დროს პოლიცია გლეხებს პურს სტაცებდა. გლეხმა სემენცოვმა განაცხადა, რომ მას გრინევმა, ჩვენების ჩამორთმევის დროს, სამი კბილი ჩაამტვრია, ზამარინის ისე ჩაუჭეჭყა ლოყა, რომ მთელს კვირას საჭმელს ვერ სჭამდა. 46 მოწამეს კიდევ უნდა შეჰკითხონ.

ადესა. სევასტოპოლში გაიგზავნა კიუსტენჯიდან მოსული 12 მატროსი „პოტემკინ“-დან, რომელთაც განაცხადეს, რომ ისინი იმთავითვე წინააღმდეგი იყვნენ აჯანყებისა და როცა მატიუშენკო იმუქრებოდა ჯავშნოსანს ავაფეთქებ, თუ არეულობა დაიწყეთო, ისინი ჩასულან და ყარაულობა დაუწყიათ საწამლე სარდაფებისთვის, რათა ხელი შეეშალათ აფეთქებისთვის.

კავკაზი. ბაქოში აპშერონელების მთელი ბატალიონი გაიგზავნა სრულიად შეიარაღებული და გამზადებული საომრად.

ტოკიო. პოლიტიკურ პარტიების იძულებით მთავრობა 27 აგვისტოს გამოაქვეყნებს ზავის პირობებს.

ნიუ-იორკი. „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ი შიშს აცხადებს იაპონიაში ამერიკის ვაჭრობის ბედ-იღბალზე, რადგანაც იაპონიის ხალხი შეერთებულ შტატებს აბრალებენ ზავის ასე ცუდათ დაბოლოვებას.

ლონდონი. აქ ძლიერ სწუხან ბაქოში მოსამსახურე ინგლისელებზე გარეშე საქმეთა მინისტრი იუწყება, რომ ინგლისის ელჩმა პეტერბურგში დეპეშით სთხოვა კავკასიის ნამესტნიკს, მიიღოს ენერგიული ზომები მშვიდობიანობის აღსადგენად.

კოპენჰაგენი. ცნობილი კრიტიკოსი გეორგ ბრანდესი ამბობს გაზეთ „პოლიტიკენ“-ში დანიაში შეიძლება ინგლისის პროტექტორატის შემოღებაო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამ ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/ა, ქნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

სახელოსნო სასწავლებელი ა. მირიანოვისა და ნ. ბერიძისა, გადატანილი იქმნა კარგად მოწყობილ ახალ ბინაში გონჩარნი ქუჩიდან ავჭალის ქუჩაზედ № 19, სახ. ზოლოევისა. ვასწავლით საუკეთესო ხელოვნებას და წიგნებითაც გავდიერთ საჭირო საგნებს, ვიღებთ საცხოვრებლად ქალებს. (3—336—2)

სასწავლებელი და პანსიონი
გიმნაზიაში მასწავლებლად ნიმუშის ეკტ. ვ. რაზუმოვსკისა.

მივიღებ მოსწავლეებს ორივე სქესისას მოსამზადებლად ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებში. ვასწავლი ახალ ენებს და მუსიკასაც, მოძღვრით სურვილისამებრ. სწავლა იწყება 1-ლ სექტემბრიდან.
ადრესი: მიხაილოვის ქუჩა. სახ. № 74.

Поступили въ продажу новыя книги
Г. Туманова:
Къ введенію на Кавказѣ земскаго самоуправленія
Сборникъ матеріаловъ, ц. 20 к.
ХАРАКТЕРИСТИКА и ВОСПОМИНАНІЯ
Книга 2-я.

Содержаніе. И. И. Сведенцовъ (Ивановичъ).—В. Л. Величко.—Макс. Горькій на Кавказѣ.—Г. Сундукіанцъ.—А. Цагарели.—Еще объ А. Казбекѣ и З. Антоновѣ.—Д. Ведребисели.—Абг. Іоанисіанъ.—Ис. Е. Питоевъ.—С. К. Зубаловъ.—П. Умикашвили.—А. Нанеишвили.—Кн. Н. Д. Мингрельскій.—Итоги недавняго кавк. управленія (кн. Голицынъ).—Изъ театральныхъ воспоминаній (къ юбилею груз. сцены). ц. 50 к. (2—1)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.
მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწვდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.
იყიდება **დარბაზის მოსართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები** 30 კ. 50 კ.
ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(წ.) წიგნის მაღაზიის გამგე სოსიკო მერკვილაძე.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდად ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი
„ლეოპოლდ ნეიშელერი“
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

ა. ალმაზოვის
ქალთა საპროფესიო სასწავლებელში 1) ავლაბარში, პეტროპავლოვ. და ლაგოდეხის ქუჩების კუთხეში № 3, ავლაბრის მაიდნის ახლო და 2) ნემეცების ქუჩაზე, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ, № 9 მიიღებიან მოსწავლე—ქალები (ორსავე ბინაზე); აქვე შეიძლება ქალის ტანისამოსის და საცვლების შეკვეთა (1—1)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მეხუთე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1) ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2) საზოგადო სავაჭროსა, 3) ბანკისას 4) კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსისა), 5) ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6) არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7) კომერციულ კორესპონდენციასა, 8) ვაჭრობის ისტორიასა, 9) ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებსა.
(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. ზ. ხაათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეუძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ ეძლევათ და ეგზავნებათ უფასოდ.

(14—14) **ალ. ზ. ხაათაშვილი.**

ბუჰგალტერიის
და
საკანტორო ცოდნის
კურსები
ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან
(წელიწადი მეექვსე)

კურსებზე ასწავლიან: ბუჰგალტერიას, საკომერციო არითმეტიკას, საკომერციო კორესპონდენციასა და სავაჭრო უფლებას.

სწავლა დაიწყება 1905 წ. 14 სექტემბერს, კურსი გაგრძელდება 6 თვეს. სწავლა 3-ჯერ კვირაში საღამოობით. კურსების მსმენელებად მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნე პირნი სქესის განურჩევლად. ფასი 40 მან. კურსის განმავლობაში.

თხოვნებს იღებს ტფ. საკომერციო სასწავლებლის დირექტორი ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-მდე, საკომერციო სასწავლებლის კანცელარიაში. (6—6)

Состоящіе въ вѣдѣніи министерства финансовъ
БУХАЛТИРСКІЙ КУРСЫ
Н. В. Абраамяна, въ Тифлисѣ,
автора „Руководства торговой, фабричной и нефтепромышленной бухгалтерій“, учатъ и подготовляютъ лицъ обоего пола въ 4 мѣсяца, путемъ практики бухгалтеріи и др. коммерч. спеціальн. предметамъ.

Преподавателями на курсахъ приглашены лица съ университетскимъ образованіемъ и спеціалисты своего дѣла, утвержденные учебнымъ отдѣломъ министерства финансовъ, а также по каллиграфіи каллиграфъ-художникъ.

Пріемъ съ 5 до 7 ч. вечера. Начало занятій съ 15-го сентября 1905 г. ежедневно по послѣ обѣдамъ, съ платою по 60 р. за полный курсъ. По окончаніи выдается установленный аттестатъ, разрѣшенный г. министромъ финансовъ.

Независимо отъ сего, при курсахъ же открыты для лицъ малоподготовленныхъ особые пополнительные и повторительные курсы рускаго языка и ариѳметики. Желающихъ прошу обращаться письменно или лично къ учредителю курсовъ въ Тифлисѣ: Николаевская, 46, Телефонъ 744. Правила и программы высылаются безплатно. (10—2)

Доз. ценз. Тифлисъ, 27 Августа 1905 г. Печ. Груз. Изд. Т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბა